www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი 6 დეკემბერი, 2008 წელი. №273 (2017) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

შიში და იმედი კონფლიქტის ზონაში
A5



რუსი ოლიგარქები ფინანსური კრიზისის წინაშე
A8



პილიგრიმობა ქართულად
A10



# მოულოდნელი ცვლილებები

*ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებიდან ერთი თვის თავზე საქართველოს პრემიერი მინისტრთა კაბინეტის ოთხ წევრს ცვლის, მათ შორის ძალოვან მინისტრს - ბოლო წლების მანძილზე პირველად. ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი კი მოადგილეებს და ელჩებს გადადგომის შესახებ განცხადების დაწერას სთხოვს. მიუხედავად იმისა, გაეროში საქართველოს ელჩის ირაკლი ალასანიას განცხადება უძღოდა წინ სამთავრობო ცვლილებებს თუ მინისტრების შეცვლა ირაკლი ალასანიას გადადგომას, ეს შედეგს არ ცვლის - ფაქტია, რომ გუშინ საზოგადოება მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომსწრე გახდა.*

თამარ ხორბალაძე

მინისტრთა კაბინეტის გადახალისების შესახებ განცხადება გუშინ პრემიერმა გააკეთა - მიუხედავად იმისა, რომ ძალოვანი მინისტრები უშუალოდ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არიან და მათი ცვლილებაც სწორედ ქვეყნის პირველი პირის პრეროგატივაა, გრიგოლ მგალობლიშვილმა ეს გადაწყვეტილება თავად გააჟღერა და საქართველოს თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილს მადლობა საკუთარი სახელით გადაუხადა. მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერთან შეხვედრისას, განმარტა, რომ საკადრო ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებაზე კონსულტაციები ბოლო დღეებში აქტიურად მიმდინარეობდა. აქვე მან განაცხადა, რომ ახლა ხელისუფლება ორმაგი წნეხის ქვეშ იმყოფება, რადგან არსებულ პრობლემებს გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაემატა. **"ახლა საჭიროა არაორდინალური და თამამი გადაწყვეტილებები. ხალხი ცვლილებებს მოელის, თქვენ მომავალშიც დააკვირდით მთავრობის წევრების მუშაობას. ადამიანი იზომება თავისი შედეგებით,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რითიც, პრინციპში, დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები გამორიცხული არ არის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ირაკლი ალასანია საქართველოში ბრუნდება

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ საქართველოს მთავრობაში მოულოდნელად განხორციელებულმა ცვლილებებმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ჯერ კიდევ სამთავრობო ცვლილებებამდე გავრცელდა ინფორმაცია გაერო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელ ირაკლი ალასანიას გადადგომის შესახებ. თუმცა, საგარეო საქმეთა მინისტრად გუშინ დანიშნულმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, მაგრამ ირაკლი ალასანიას, როგორც სხვა ყველა ელჩს, მოუწევს გადადგომა. გუშინვე "24 საათი" თავად ირაკლი ალასანიას დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა.*

**- ადასტურებთ თქვენს გადადგომას დაკავებული თანამდებობიდან?**

გაგრძელება A2 გვერდზე



ლევან ღირსიაშვილის ფოტო

# უმრავლესობა იწონებს, ოპოზიცია - იწუნებს

გიორგი ასანიშვილი

სამთავრობო გუნდში გუშინ განხორციელებულ ცვლილებებს პოლიტიკურ წრეებში ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა: საპარლამენტო უმრავლესობა ამ ცვლილებებს მიესალმება, ოპოზიცია კი მკვეთრად აკრიტიკებს.

**"საკადრო გადახალისება და სამთავრობო გუნდის განახლება მუდმივი და საჭირო პროცესია. მინისტრობის ახალი კანდიდატები გამოცდილი ადამიანები არიან და იმედია, ისინი უკეთ გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან მინდა, მადლობა ვუთხრა იმ ხალხს, ვინც ძნელ პერიოდში ხელმძღვანელობდა სახელისუფლებო უწყებებს,"** - აცხადებს სახელისუფლებო ფრაქციის ერთ-ერთი სახე, განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კანდელაკის მტკიცებით, გუშინდელი გადაადგილებები არანაირად არ აისახება ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

**"არავის უნდა გაუჩნდეს ეჭვი, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსში რაიმე ცვლილებები მოხდება. ეს კურსი, რომელიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას გულისხმობს, არა მხოლოდ ქართული პოლიტიკური სპექტრის უდიდესი ნაწილის კონსენსუსის საგანია, არამედ მთელი ქართველი ხალხის ურყევი ნებაც არის, რაც 5 იანვრის რეფერენდუმზე გამოიკვეთა,"** - აღნიშნავს კანდელაკი.

გაბაშვილისა და კანდელაკისგან განსხვავებით, სახელისუფლებო ფრაქციის ზოგიერთი წარმომადგენელი კომენტარისგან თავს იკავებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი ნატო-ს ბრიუსელის მინისტერიალზე საქართველოსა და უკრაინის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურება, რათა კიდევ ერთხელ დაადასტუროს საქართველოს სახელმწიფოს და ხალხის ნება, გახდეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრი. ***პირველი***

**თბილისი.** კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია პალატის 2007 წლის საქმიანობასაც შეისწავლის. ***ინტერპრესნიუსი***

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტია" ხელისუფლების 2008 წლის 19 ნოემბრის დადგენილებას აპროტესტებს, რომელიც ყვარლის რაიონში ვაზის ჯიშის (რქაწითელი) გაჩეხვას ითვალისწინებს. ***ინტერპრესნიუსი***

**გურჯაანი.** გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა გუშინდელ სხდომაზე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, გურჯაანის გამგებლად გიორგი ჩივიაშვილი აირჩიეს. ***პირველი***

**ვანი.** ვანის რაიონში ხანძრის შედეგად 7 ჰექტარი ტყის მასივი დაიწვა. სოფელ ყუმურის მახლობლად ხანძრის გაჩენა, წინასწარი ვერსიით, მოსახლეობის დაუდევრობამ გამოიწვია. ბოლო ერთი თვის მანძილზე იმერეთის რეგიონში ეს რიგით 209-ე ხანძარია. ***პირველი***

### მუქარა საქართველოს არმიის მიმართ

რუსეთის შეიარაღებული ძალების ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ანატოლი ნოგოვიცინი აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსული მედიით კვლავ გამოჩნდა და საქართველო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის თავმოყრაში დაადანაშაულა.

"აღნიშნული ფაქტის გამო ხელი ეშლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ბაზების გეგმიურ მშენებლობას," - აცხადებს ნოგოვიცინი და დასძენს, რომ რუს სამხედროებს ძალუძთ, "ღირსეული და გამანადგურებელი პასუხი გასცენ ქართული რეჟიმის მიერ ამ ორი ახალი სახელმწიფოს წინააღმდეგ ახალი აგრესიის წამოწყების ყველა მცდელობას." მისივე თქმით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობა გაწერილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### დაცული საზღვარი

საზღვრის დაცვა, სასაზღვრო პოლიციასთან ერთად, შსს-ს ნებისმიერ სხვა სტრუქტურასაც შეუძლია. ამის შესახებ საკანონმდებლო ცვლილება პარლამენტმა გუშინ დაამტკიცა. უკვე მიღებული კანონით, შს სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო საზღვრის ცალკეული მონაკვეთების დაცვის გაძლიერებისა და სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას არსებული სამართლებრივი ბარიერების შემცირების მიზნით, სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელება შეიძლება, სამინისტროს სხვა დანაყოფებსაც დაევალოთ. ამავე ცვლილებით, საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობაში, სასაზღვრო პოლიციასთან ერთად, გადავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა დანაყოფი, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის დაცვას ახორციელებენ. ***ინტერპრესნიუსი***

### საპარლამენტო კომისია კონტროლის პალატის 2007 წლის საქმიანობასაც შეისწავლის

კონტროლის პალატის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია პალატის 2007 წლის საქმიანობასაც შეისწავლის. აღნიშნული საკითხი პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე კომისიის ხელმძღვანელად წარდგენილმა ზურაბ ბუცხრიკიძემ დასვა.

ბუცხრიკიძეს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც დაეთანხმა და აღნიშნა, რომ წინა მოწვევის პარლამენტის კომისიამ გაზაფხულზე დანიშნული არჩევნების გამო, მუშაობა ვერ შესძლო.

კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი კომისიას პარლამენტი დღეს დაამტკიცებს. **ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი ალასანია საქართველოში ბრუნდება

პირველი გვერდიდან

- მე გუშინ მივმართე საგარეო საქმეთა მინისტრს - მაშინ ეს თანამდებობა ჯერ კიდევ ქალბატონ ეკა ტყეშელაშვილს ეკავა - და ვაცნობე ჩემი გადაწყვეტილება დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ეს განცხადება გადაიგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც კონკრეტული პასუხი, დაკმაყოფილებულია თუ არა ჩემი განცხადება, ჯერ არ მიმიღია. ამას ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება. უნდა აღვნიშნო, რომ ეს გადაწყვეტილება არ იყო მოულოდნელი. ამის შესახებ კარგა ხნით ადრე ვაცნობე საქართველოს პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრს და სხვა პოლიტიკურ ხელმძღვანელებს. მე მივიჩნევდი, რომ აქ, გაერო-ში ჩემი მოღვაწეობა აუცილებელი იყო, რადგან საქართველო-რუსეთის დაპირისპირების შემდეგ, საქართველოს პოზიცია ჯეროვნად წარმოჩენილიყო გაერო-ში და უშიშროების საბჭოში. ამასთანავე, ველოდებოდი ნატო-ს მინისტერიალს, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების ბედი. ამდენად, არ მინდოდა, რომ ამ პროცესებისთვის ჩემი ნაბიჯით - ვგულისხმობ ადრეულ გადადგომას - ხელი შემეშალა. ახლა უკვე მივიღე ეს გადაწყვეტილება, რისი ფორმალიზებაც გუშინვე დავიწყე. ჩემი განცხადება გუშინვე გადაიგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროში.

**- რა კომენტარს გააკეთებთ იმაზე, რომ ხელისუფლებას არა აქვს ინფორმაცია თქვენი ამ ნაბიჯის შესახებ?**

- არ ვიცი, ვერ გეტყვით. ვადასტურებ, რომ ყველა ჩავაყენე საქმის კურსში, მინისტრის ჩათვლით. დღეს დილიდან მქონდა საუბარი საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს პირებთან. ასე რომ, ვერ გეტყვით, თუ რას ეფუძნება ეს განცხადება.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მოულოდნელი სამთავრობო ცვლილებები თქვენს ამ ნაბიჯს უკავშირდება?**

- მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ალბათ საქართველოს პირველი პირი რაღაც ფორმით გააკეთებს კომენტარს. რამდენადაც მე ვიცი, იგეგმება განცხადების გაკეთება.

**- თქვენს ამ ნაბიჯამდე ვრცელდებოდა ხმები, რომ ირაკლი ალასანია პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებას აპირებს.**

- მე საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოვალ და ბუნებრივია, მექნება შესაძლებლობა, რომ საზოგადოებას მივმართო და ჩემი გადაწყვეტილების საფუძვლები ავუხსნა. ასევე, ბუნებრივია, განვაცხადებ, თუ როგორ და რა ფორმით ვაპირებ მომავალში მოღვაწეობის გაგრძელებას.

# არასაპარლამენტო ოპოზიციის შეფასებები

ნინო დალაქიშვილი

საქართველოს მთავრობაში გუშინ საღამოს მომხდარ ცვლილებებს ოპოზიცია ეხმიანება. მათი თქმით, ეს ხელახალ და უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს. ამასთან, ოპოზიციის წარმომადგენლები მომხდარს ერთმნიშვნელოვნად უკავშირებენ გაერო-ში საქართველოს ელჩ ირაკლი ალასანიას განცხადებას თანამდებობიდან წასვლის შესახებ. როგორც "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე აცხადებს, მთავრობის შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტის გადაფარვის მცდელობაა. **"მინდა, მხოლოდ ორი რამ გითხრათ. ერთი ის, რომ ნებისმიერი ტიპის ცვლილებები, რაც არ უნდა განახორციელოს ახლა მთავრობამ, ფარსი და ტყუილია, და მეორე - ეს ყველაფერი სააკაშვილს იმისთვის დასჭირდა, რომ ირაკლი ალასანიას მიერ გადადგომის შესახებ დაწერილი განცხადება გადაეფარა. ის, რაც დღეს გრიგოლ ვაშაძემ და სხვებმა გააკეთეს, უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი გახლავთ. ირაკლი ალასანია გახლდათ ერთადერთი პოზიტიური და ნორმალური ადამიანი მთელ ხელისუფლებაში და მანაც საჭიროდ მიიჩნია იქიდან წასვლა. ყველამ კარგად იცის, რომ დილით გავრცელდა ინფორმაცია ალასანიას განცხადების თაობაზე და ამის შემდეგ, ხაზს ვუსვამ, მხოლოდ ამის შემდეგ სააკაშვილმა სასწრაფოდ გადაწყვიტა ამ მასკარადის მოწყობა - ვითომდა ცვლილებების გატარების სახით,"** - აცხადებს მამუკა კაციტაძე.

"რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მთავრობის ცვლილებებს ხელისუფლების შეცვლის ნიშნად აღიქვამს. იგი ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ **"მთავრობის დღევანდელი ცვლილება ხელისუფლების აგონიაში ყოფნის მორიგი დემონსტრირებაა. ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ერთი თვის წინ ჩამოყალიბებულ მთავრობას გადააყენებს ანუ აღიარებს, რომ ერთი თვის წინ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, იმაზე მეტყველებს, რომ თავადაა შესაცვლელი - სააკაშვილი თავადაა გადასაყენებელი. ხოლო რაც შეეხება ალასანიას განცხადებას, სააკაშვილმა თუ მთავრობის ცვლილება ამ ფაქტის გადასაფარად მოახდინა, ეს კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს თავად მისი შეცვლის აუცილებლობას."**

"კონსერვატიული პარტიის" ლიდერი კახა კუკავა სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს ეთანხმება და მისი კომენტარიც "გადაფარვის მცდელობით" იწყება. **"ეს გახლავთ სააკაშვილის მიერ პიარ-გადაფარვის მცდელობა, რაც პირდაპირ უკავშირდება ირაკლი ალასანიას გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. თბილისში ეს ამბავი უსწრაფესად გახმაურდა. ვაშაძემ და მგალობლიშვილმა სცადეს, ალასანიას განცხადება ერთიანი გადადგომის კონტექსტში გაეტარებინათ, მაგრამ ეს მცდელობა მცდელობად დარჩა. მიმაჩნია, რომ ალასანიას განცხადება მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაპირობად იქცევა. ის არ არის უბრალოდ ელჩი, იგი პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ფიგურა გახლავთ, რომელიც ლიდერადაც შეიძლება მოვიაზროთ. ეს, ბუნებრივია, დიდი საფრთხე იქნება სააკაშვილისთვის და იგი ცდილობს, ამას როგორღაც შეეწინააღმდეგოს,"** - აცხადებს კუკავა.

# უმრავლესობა იწონებს, ოპოზიცია - იწუნებს

პირველი გვერდიდან

**"პრემიერ-მინისტრისგან გარკვეული არგუმენტები უკვე მოვისმინეთ და ალბათ კიდევ მოვისმენთ... სრულფასოვან კომენტარსაც მოგვიანებით გავაკეთებ,"** - აცხადებს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაური.

რადიკალურად განსხვავებული შეფასებები აქვთ ოპოზიციონერ დეპუტატებს. ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი სამთავრობო გადაადგილებებს "წყალწაღებულის მიერ ხავსის მოჭიდების მცდელობად" მიიჩნევს.

**"ტრაგიკომედიაა ის, რაც ქვეყანაში ხდება. შეუძლებელია, მინისტრთა კაბინეტი კვირაში ერთხელ იცვლებოდეს და აბსოლუტურად ალოგიკური გადაწყვეტილებები მიიღებოდეს. განათლების მინისტრად გვარამიას დანიშვნა იგივეა, მე გრენლანდიაში რომ გამიშვან ელჩად. ვაშაძე კულტურის მინისტრად დანიშნო და მერე ისევ უკან, საგარეო საქმეთა სამინისტროში მოაბრუნო - ამას შეიძლება, მხოლოდ უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი უწოდო,"** - აღნიშნავს ცაგარეიშვილი. მისივე თქმით, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებისგან აქვს ინფორმაცია, რომ ორ თვეში კიდევ ერთი ახალი საკადრო გადაადგილებები იგეგმება.

ერთადერთი, რაც ოპოზიციონერ დეპუტატს გუშინ განხორციელებული ცვლილებებიდან მოსწონს, არის ის, რომ "კეზერაშვილის მსგავსი ოდიოზური ფიგურები მთავრობიდან გაუშვეს."

ამასთან, ცაგარეიშვილი ირაკლი ალასანიას გადადგომას მიესალმება და აცხადებს: **"რაც უფრო მეტი გაბედული ადამიანი გადმოდგამს ნაბიჯს ოპოზიციისკენ, მით უფრო შეირყევა სააკაშვილის ტახტი."**

საპარლამენტო უმცირესობის კვოტით არჩეული ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე სამთავრობო ცვლილებებს აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის სხდომებზე გამოკვეთილ რეალობებს უკავშირებს.

**"კომისიის მოსმენების შედეგად ნათელი გახდა, რომ საგარეო და სამხედრო უწყებებმა სათანადოდ ვერ იმუშავეს და სერიოზული შეცდომები დაუშვეს,"** - მიიჩნევს ლევან ვეფხვაძე.

როგორც საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე ირწმუნება, მორიგი საკადრო გადაადგილება რომ მოხდებოდა, მისთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა.

**"მოულოდნელი იყო მხოლოდ ამ ცვლილებების შინაარსი. მაგალითად, მთავრობას ძალიან გაუჭირდება იმის ახსნა, თუ რა ნიშნით შეარჩია ნიკა გვარამია განათლების მინისტრის პოსტზე,"** - საკადრო ცვლილებებში ლოგიკას ვერ ხედავს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მოულოდნელი ცვლილებები

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება გუშინ განხორციელებული საკადრო ცვლილებების შინაარსს: აგვისტოს ომის შემდეგ თავდაცვის მინისტრს პოსტის დატოვება რომ მოუხდა, ეს განსაკუთრებული სიურპრიზების რიგში ნამდვილად ვერ ჩაიწერება. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სხვა სამინისტროების საჭეთმპყრობელებისგან განსხვავებით, ახალი თავდაცვის მინისტრის შერჩევისთვის პრეზიდენტსა და პრემიერს მეტი დრო სჭირდებათ და ამ სამინისტროს, ჯერჯერობით, "მოვალეობის შემსრულებელი" - ბათუ ქუთელია წარუძღვება.

სხვათა შორის, საუბრები იმაზე, რომ ნიკა გვარამიას უახლოეს პერიოდში მინისტრად დაასაქმებდნენ, საქართველოში კარგა ხანია, მიდის. მაგრამ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა იმას, რომ ეს განათლების მინისტრის პორტფელი იქნებოდა. მართალია, პირველ სატელევიზიო ინტერვიუში ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ განათლების საფუძველთ-საფუძველი სკოლებში წესრიგის დაცვაა, მაინც იმედი გვაქვს, განათლების ახალი მინისტრი იმასაც აცნობიერებს, რომ ახალ პოსტზე მისი მთავარი ფუნქცია კრიმინალური სიტუაციის გაუმჯობესება არ იქნება.

სამთავრობო ცვლილებებიდან ყველაზე საინტერესო მაინც საგარეო საქმეთა მინისტრად გრიგოლ ვაშაძის, კულტურის მინისტრად კი - ზურაბ აბაშიძის დანიშვნა გახლავთ. როგორც გახსოვთ, თავად გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, თავის დროზე იგი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ და რუსეთთან ურთიერთობის კურატორად იმ მოტივით დაინიშნა, რომ მას რუს პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილება ჰქონდა. სხვათა შორის, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე სწორედ რუსეთთან ახლო ურთიერთობის კონტექსტში გაიჟღერა რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩის ზურაბ აბაშიძის სახელმაც. შესაბამისად, გადახალისებულ მინისტრთა კაბინეტში ამ კანდიდატურებზე აქცენტის გაკეთება, შესაძლოა, ჩაითვალოს ჩრდილოელი მეზობლისთვის გაგზავნილ მორიგ მესიჯად იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთთან დიალოგისთვის კვლავ მზად არის. ამ თვალსაზირისით საინტერესო იყო გუშინ თავად გრიგოლ ვაშაძის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო არ აპირებს თავისი მთავარი საგარეო ვექტორის შეცვლას, გააგრძელებს ევროპულ ოჯახში დაბრუნების მცდელობას, თუმცა არც რუსეთთან დიალოგს გამორიცხავს: **"ჩვენ მიერ არაერთგზის გაწვდილი ხელის საპასუხოდ მივიღეთ აგრესია და ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია. თუმცა, როგორც ცივილიზებული და დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენ მზად ვართ, ვისაუბროთ ყველასთან. არ არსებობს პრობლემა, რომლის განხილვისთვის ჩვენ არ ვართ მზად, მაგრამ არის სამი წინაპირობა: დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა,"** - განაცხადა გუშინ ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ახალი მინისტრები მუშაობას პრეზიდენტის მიერ შესაბამისი განკარგულების ხელმოწერის მომენტიდანვე შეუდგებიან. ოთხი მინისტრის ცვლილება მინისტრთა კაბინეტისთვის პარლამენტის მიერ ნდობის ხელახლა გამოცხადების აუცილებლობას არ აყენებს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არ არის გამორიცხული, უახლოეს პერიოდში მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები ისევ განხორციელდეს და იანვარში, როცა სასჯელაღსრულების და რეგიონულ საქმეთა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები ამოქმედდება, პრეზიდენტმა პარლამენტში, ახალი სამინისტროების პორტფელების მფლობელებთან ერთად, სხვა "გადახალისებული" სახეებიც წარადგინოს.

გუშინ გახმოვანებულ საკადრო ცვლილებათაგან, უშუალოდ მინისტრთა კაბინეტის წევრების შეცვლის გარდა, კიდევ რამდენიმე დეტალია საგულისხმო. ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა პირველივე გამოსვლისას ელჩებს და მოადგილეებს გადადგომის შესახებ განცხადებების დაწერისკენ მოუწოდა. მისი განმარტებით, გარკვეული საკადრო ცვლილებების შესახებ დიპლომატიურ კორპუსში ბოლო ხუთი დღის მანძილზე პრეზიდენტს მასთან უშუალო კონსულტაციები ჰქონდა. გუშინვე საქართველოს ელჩმა გაერო-ში ირაკლი ალასანიამ დაადასტურა, რომ გადადგომის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრ ეკა ტყეშელაშვილის სახელზე წინა დღეს დაწერა.

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ალასანია საკუთარ პოლიტიკურ არჩევანზე თბილისში ჩამოსვლამდე არ საუბრობს, ცნობილია, რომ მისი ფიგურის ირგვლივ ოპოზიციას საკმაოდ დიდი გეგმები აქვს. მაგალითად, "ახალმა მემარჯვენეებმა" "24 საათთან" საუბარში პირდაპირ დაადასტურეს, რომ მასთან კონსულტაციები ჰქონდათ და, "რესპუბლიკელებთან" გაერთიანების შემდეგ, სიამოვნებით იხილავდნენ საკუთარ ლიდერად. ცოტა ხნის წინათ ასევე ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ ალასანიასთან დაკავშირებას ყოფილი ელჩი რუსეთში ეროსი კიწმარიშვილიც და სხვებიც ცდილობდნენ. თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ალასანია ელჩის პოსტს აღარ შეინარჩუნებს, რასაც თავადაც ადასტურებს.

ალასანიას ჩამნაცვლებლად პოლიტიკურ კულუარებში საგარეო საქმეთა აწ უკვე ყოფილ მინისტრ ეკა ტყეშელაშვილს მოიხსენიებენ. თუმცა, ოფიციალურად ამ ფაქტს ჯერჯერობით მთავრობაში არ ადასტურებენ. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ დიპლომატიურ სამსახურში გააგრძელებს საქმიანობას კახა ლომაია, რომელიც უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტს ტოვებს. გრიგოლ ვაშაძე ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, თუ რომელ ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში ჩაუდგება სათავეში დიპლომატიურ მისიას აწ უკვე ყოფილი უშიშროების მდივანი. ამიტომ არც ის არის გამორიცხული, რომ გაერო-ში ელჩად სწორედ კახა ლომაია ვიხილოთ. ჯერჯერობით ისიც უცნობია, საქართველოს დიპლომატიური კორპუსიდან ვინ შეინარჩუნებს პოსტს და ვის ჩაანაცვლებენ, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი იქნება.

## პარლამენტმა ევროდამკვირვებლები კანონის "ქოლგის" ქვეშ მოაქცია

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება აგვისტოს მოვლენების შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობის განმუხტვასა და რუსეთის სამხედრო ძალების ომამდელ პოზიციებზე დაბრუნების უზრუნველყოფაში. აღნიშნული მისიის საქართველოში გამოგზავნის შესახებ გადაწყვეტილება 2008 წლის 1 სექტემბერს იქნა მიღებული, ხოლო 15 სექტემბერს ევროსაბჭოს შეხვედრაზე მისი მანდატი დამტკიცდა.

თუმცა, სადამკვირვებლო მისიის საქმიანობის ლეგიტიმაციისთვის ასევე აუცილებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს ამ სტრუქტურის სტატუსი და პრივილეგიები. ამ მიზნით გუშინ საქართველოს პარლამენტმა მოახდინა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ინიცირებული "საქართველოსა და ევროკავშირს შორის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ" შეთანხმების რატიფიცირება.

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტში, რომელიც ამ დოკუმენტს დადებით დასკვნას აძლევს, მიაჩნიათ, რომ შეთანხმების რატიფიცირება ხელს შეუწყობს მისიის მიერ მანდატით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად განხორციელებას.

საპარლამენტო კომიტეტის მოსაზრებას მთლიანად იზიარებს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**"ევროკავშირის მონიტორებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, სრულად გამოიყენონ საკუთარი მანდატი. ამ შეთანხმების მიხედვით, მათი მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა მათ ჯერ არ მისცემიათ. ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების ამოცანაა, განვახორციელოთ ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე, რომლის საოკუპაციო ჯარებიც საქართველოს ტერიტორიის ნაწილს აკონტროლებენ. ამდენად, ამ შეთანხმების რატიფიცირება საქართველოს ფუნდამენტურ ინტერესებს შეესაბამება,"** - აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია.

მოვლენების განვითარება ადასტურებს, რომ კონფლიქტის ზონებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა აუცილებელია. მით უმეტეს, რომ სეპარატისტების მხრიდან კვლავ გრძელდება პროვოკაციული ქმედებები.

გუშინ დილით ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან მსხვილკალიბრიანი ნაღმმტყორცნიდან გორის რაიონის სოფელ მერეთში განთავსებული პოლიციის განყოფილების შენობის დაცხრილვის შესახებ ინფორმაცია და ფოტომასალა მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა უკვე გააგზავნეს ბრიუსელში.

შემთხვევის ადგილი გუშინ პრემიერ-მინისტრმაც მოინახულა. **"ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროპის სადამკვირვებლო მისიის შესვლა აუცილებელია,"** - აცხადებს გრიგოლ მგალობლიშვილი.

*გიორგი ასანიშვილი*

## დეპუტატების "როტაცია" მოსწავლეებით "იგეგმება"

პარლამენტში დისციპლინის მხრივ ყველაფერი წესრიგში არ არის. "24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ნოემბრის თვეში პლენარულ სხდომებზე კვორუმის არარსებობის გამო რამდენჯერმე შეფერხდა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის დაწყება. კვორუმის პრობლემამ გუშინაც იჩინა თავი: დილის და საღამოს პლენარულ სხდომებს შორის პერიოდში ბიუროს ჩატარება იყო დაგეგმილი, მაგრამ საპარლამენტო კომიტეტებისა და ფრაქციების ხელმძღვანელები მასზე არ გამოცხადდნენ, რის გამოც საღამოს სხდომა ორი საათის დაგვიანებით დაიწყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ფაქტი გუშინ დეპუტატების უდისციპლინობის გამოვლინების ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. "შატალოზე" წასვლა პარლამენტარებმა ბიუროს სხდომის ჩაშლამდე ორიოდე საათით ადრეც "მოახერხეს": "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების განხილვის დაწყების წინ დავით ბაქრაძემ აღმოაჩინა, რომ სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის არც ერთი წევრი, ვისაც კანონპროექტის მიმართ აღნიშნული კომიტეტის პოზიციის დაფიქსირება შეეძლო. პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ზემოთ დასახელებული კომიტეტის ხელმძღვანელებს ხელფასიდან გარკვეული თანხა დაექვითებათ.

არადა, დეპუტატებს, ეტყობა, ფინანსური სანქციებისაც აღარ ეშინიათ. ყოველ შემთხვევაში, სპიკერის ამ განცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, პარლამენტართა უდისციპლინობის მიზეზით, როგორც აღვნიშნეთ, ბიუროს სხდომაც ჩაიშალა.

პარლამენტის ხელმძღვანელობა სხდომათა დარბაზში ცარიელი სავარძლების სიმრავლით შეშფოთებულია და გამოსავალს ეძებს. დავით ბაქრაძე მიიჩნევს, რომ მოწესრიგებული კანონმდებლების აღმოსაჩენად სულაც არ არის აუცილებელი რიგგარეშე არჩევნების ჩატარება - სპიკერი თავისუფალი სავარძლების დაკავებას ქართულ-ამერიკული სკოლის მოსწავლეებს სთავაზობს, რომლებიც გუშინ საკანონმდებლო ორგანოში... ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ.

*გიორგი ასანიშვილი*

# რუსეთმა ეუთო-ში დეკლარაცია დაბლოკა

*გუშინ ჰელსინკში გამართული ეუთო-ს მინისტერიალის მეორე დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველასგან განსხვავებული პოზიციით გამოვიდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. მოსკოვს ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის ამჟამინდელი ფორმატი არ აკმაყოფილებს. ის საქართველოს სამხრეთ ოსეთზე თავდასხმაში, ხოლო ეუთო-ს უმოქმედობაში ადანაშაულებს. ამავდროულად ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთის წინააღმდეგობის გამო ერთობლივი უსაფრთხოების დეკლარაციის მიღება ვერ მოახერხეს.*

დათო გამისონია

ეუთო-ს მინისტერიალზე აზრთა სხვადასხვაობის გამო, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეთანხმებისა და საქართველოს საკითხებზე დეკლარაცია ვერ მიიღეს. ეუთო-ში მოქმედებს კონსენსუსის წესი, სადაც თუნდაც ერთი ქვეყნის წინააღმდეგობა საკმარისია მისაღები გადაწყვეტილების დასაბლოკად. რუსეთის ფედერაცია, როგორც წესი, ამ უფლებას ხშირად იყენებს. ამის გამო ეუთო-ს 2002 წლიდან არც ერთი დეკლარაცია არ მიუღია.

ამჯერად რუსეთის ფედერაცია ცდილობდა, დოკუმენტში ჩაეწერა ასეთი ფორმულირება: "აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები" და არა - "სამხედრო ინტერვენცია", როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდი მოითხოვდა. მისი თქმით, დეკლარაციას კორექტირება ესაჭიროებოდა და მათ პოზიციას ევროპის რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც დაუჭირა მხარი.

ფინეთის დედაქალაქში მყოფმა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ეკა ტყეშელაშვილმა ეუთო-ს ფარგლებში შიდა მოლაპარაკებების გაგრძელების შესახებ ისაუბრა. მან მინისტერიალის შემდეგ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას, ყურადღება გაამახვილა საქართველოს მიმართ ჩადენილ დანაშაულზე. **"პირველ რიგში, აფხაზეთში და შემდეგ უკვე ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსულმა ძალებმა ეთნიკური წმენდა დაასრულეს და იქ ქართული მოსახლეობა აღარ დარჩა,"** - აღნიშნა ტყეშელაშვილმა.

ეუთო-ს მე-16 მინისტერიალზე მყოფი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება ორგანიზაციის წევრების პოზიციას, ხოლო, მეორე მხრივ, მიიჩნევს, რომ **"ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს შორის აუცილებელია გულახდილი საუბარი, რათა გათვალისწინებული იყოს ერთმანეთის პოზიცია და ყველა წევრის ინტერესი. ეუთო დღეს დგას გზაჯვარედინზე, ახალი არჩევანის წინაშე და ეს გადაწყვეტს, იქნება თუ არა მომავალში მოთხოვნა ამ ორგანიზაციაზე."**

ლავროვი ეუთო-ს საქართველოს საკითხის კონტექსტშიც აკრიტიკებს. **"ჩვენ წინაშეა ორგანიზაცია, რომელსაც ომის თავიდან აცილების უნარი არ გააჩნია და ძალის არასანქცირებულ გამოყენებაზეც კი არ რეაგირებს,"** - აღნიშნავს რუსეთის პირველი დიპლომატი.

ჰელსინკში მყოფი ლავროვი ეუთო-ს ხელმძღვანელობას რეაგირებისკენ მოუწოდებს. საქართველოს ხელისუფლებას კი ჰუმანიტარულ კატასტროფაში ადანაშაულებს. მისი მტკიცებით, **"საქართველომ ცხინვალს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა და ქალაქი დღესაც გაზის გარეშეა დარჩენილი."** ლავროვის განცხადებას ქართული მხარე ეხმიანება და თბილისიდან ცხინვალისკენ მიმავალი მილსადენის დაზიანების მიზეზად აგვისტოს ომს ასახელებს.

რუსეთის დიპლომატიური უწყების მმართველის განცხადებებს ეუთო-ს ხელმძღვანელებიც გამოეხმაურნენ. ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მარკ პერინ დე ბრიშამბომ ჰელსინკში, საგარეო საქმეთა მინისტერიალზე განაცხადა, რომ **"აგვისტოში, ომის დაწყების შემდეგ, მათ ძალიან მკაფიოდ დაინახეს, რომ ეუთო-ს მიერ გაკეთებულ წინასწარ გაფრთხილებას და კონფლიქტის თავიდან აცილების კუთხით გაწეულ მუშაობას შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა."** გენერალურმა მდივანმა აქვე განმარტა, რომ **"ივლისის დასაწყისში ეუთო-ს ელჩების ჯგუფი კონფლიქტის ზონას სტუმრობდა."**

ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრმა სტუბმა კი მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ **"ორგანიზაციის გაფრთხილებას არ მიაქციეს ყურადღება, ისევე როგორც 20 წლის უშედეგო მცდელობებს კონფლიქტის მოგვარების კუთხით, ვიდრე ის ძალადობაში გადაიზრდებოდა. საქართველოში ეუთო-ს მისია კონფლიქტის ზონაში მონიტორინგის განხორციელებას განაგრძობდა და ხელს უწყობდა ნდობის აღდგენას. მაგრამ მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო,"** - აღნიშნა ალექსანდრ სტუბმა. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც საქართველოში ომის დროს და მას შემდეგაც იმყოფებოდა, 2008 წლის ბოლოს ეუთო-ს თავმჯდომარეობას საბერძნეთს გადასცემს.

2009 წლიდან ორგანიზაციის თავმჯდომარე საბერძნეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთში ეუთო-ს დამკვირვებლების დაბრუნებისთვის ძალისხმევას არ დაზოგავს (ეუთო-ს დამკვირვებლებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთი აგვისტოს მოვლენების დროს დატოვეს.) **"კონფლიქტის ზონაში საჭიროა ეუთო-ს დამკვირვებლების ყოფნა. ჩვენ უნდა გაგვაჩნდეს შესაძლებლობა, აღვწეროთ რეალური სურათი იმისა, რაც სინამდვილეში ხდება. თუ ყველა კეთილ ნებას გამოიჩენს, ჩვენ მიზანს მივაღწევთ,"** - განაცხადა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დორა ბაკოიანიმ.

# გაერო და ეუთო საქართველოში საკუთარ როლს გადახედავენ

თამარ ივანიძე

*საქართველო-რუსეთის აგვისტოს კონფლიქტის გამო გაერო-მ და ეუთო-მ, შესაძლოა, კავკასიის რეგიონში საკუთარ როლს გადახედონ, - ამის შესახებ გაერო-ს გენერალურ მდივან პან გი მუნის სპეციალურ მიმართვაშია საუბარი. გაერო-ს გენერალური მდივნის მიმართვა, რომელიც ჰელსინკში ეუთო-ს მინისტერიალს გაეგზავნა, გაერო-ს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში ხუთშაბათს საღამოს გავრცელდა.*

მანამდე გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომამ გაერო-ს მანდატი 2009 წლის 15 თებერვლამდე გააგრძელა. მანდატის თანახმად, მისია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაციას აკვირდებოდა.

მანამდე ამ ტერიტორიაზე მოქმედი დსთ-ს სამშვიდობო ძალები, რომლებიც ასევე გაერო-ს მანდატით მოქმედებდნენ და რომლებიც რეალურად რუსეთის შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენდნენ, აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ცხადია, ოკუპირებული ჯარების რანგში გადავიდნენ.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ტერიტორიაზე კვლავ მოქმედებს ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატი, რომელსაც 2009 წლის დასაწყისიდან ეწურება ვადა. თუმცა, მისია რეალურად თავისი მანდატის ფარგლებში სრულად ველარ მოქმედებს, რადგან ეუთო-ს დამკვირვებელთა საქართველოს ტერიტორიიდან შეშვებაზე სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლება უარს აცხადებს და მათ რუსეთიდან შესვლას სთავაზობს.

**"საქართველოში განვითარებული აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ და იქ ამჟამად შენარჩუნებული არასტაბილური ვითარების გამო, ჩვენ (გაერო, ეუთო) შესაძლოა, მოგვიწიოს იმ როლის გადახედვა, რომელსაც რეგიონში ვასრულებთ,"** - ნათქვამია გაერო-ს გენერალური მდივნის თანაწარმომადგენელ იოაჰიმ ვერბეკეს მიერ გაჟღერებულ დოკუმენტში.

როგორც ეუთო-ს მინისტრთა საბჭოსადმი გაერო-ს გენერალური მდივნის მიმართვაშია აღნიშნული, სამხრეთ ოსეთში განვითარებულმა მოვლენებმა გამოავლინა, რომ **"დიდი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის უკმარისობამ შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს."**

**"ამ გაკვეთილის გათვალისწინება აუცილებელია ეუთო-ს სივრცეში არსებული ყველა გაყინული კონფლიქტის განხილვისას,"** - აცხადებს პან გი მუნი.

გაერო-ს გენერალური მდივნის აზრით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ამიერკავკასიაში უსაფრთხოების საკითხზე ჟენევის მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართოს.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა მხარეებს მოუწოდა, მოლაპარაკებებზე ყურადღება გაამახვილონ, მისი აზრით, პირველადი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაზე: უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საკითხზე.

ამ მისიების გარდა, დღეისთვის საქართველოში მოქმედებს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია. გუშინ საქართველოს პარლამენტმა მიიღო შეთანხმება "საქართველოსა და ევროკავშირს შორის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ", რომლის მიხედვითაც საქართველოში დისლოცირებული ევროკავშირის მონიტორინგის მისია დიპლომატიური მისიებისთვის გათვალისწინებული ყველა პრივილეგიით და განსაკუთრებული უფლებებით ისარგებლებს. მათი მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს, თუმცა ცხადია, ვერც ევროკავშირის დამკვირვებლები შედიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საკუთარ მანდატს სრულად ვერ ახორციელებენ.

ცნობისათვის - მისიების მანდატის გადახედვის საკითხი განიხილებოდა ნოემბერში, ჟენევაში გამართულ ერთადერთ მრავალმხრივ სამუშაო შეხვედრაზე, სადაც რუსეთისა და სეპარატისტული ხელისუფლებების წარმომადგენლებმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სადამკვირვებლო მისიების ცალკე - საქართველოს მისიისგან დამოუკიდებლად შექმნა მოითხოვეს.

მისიების მანდატის შეცვლას და მათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებას მოითხოვს ქართული მხარე. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ გუშინ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო მომხრეა, ისე განისაზღვროს ამ ორგანიზაციების მანდატები, რომ მათ საქართველოს მთელი ოკუპირებული ტერიტორიის დაფარვა და, შესაბამისად, ამ ტერიტორიებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეძლონ.

# ნეიტრალიტეტი - იდეა და შესაძლებლობები

ნინო დალაქიშვილი

*ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა ბოლო პერიოდში ნეიტრალიტეტის იდეა გაააქტიურა. "ქართული პოლიტიკის" ლიდერმა გოჩა ფიფიამ კი კოლეგებს "საქართველოსთვის ნეიტრალური სტატუსის მინიჭების შესახებ" დეკლარაციის ხელმოწერა შესთავაზა. რას გულისხმობს ნეიტრალიტეტის იდეა და რამდენად შეიძლება აღვიქვათ იგი ნებისმიერი აგრესიისგან დამცავ "ფარად"?*

**"შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რამდენად რეალურია ნეიტრალიტეტი საქართველოსთვის? ქვეყნის ირგვლივ უამრავი ცვლილება ხდება, თვითონ კი ისეთი პოზიცია დაიკავოს, ვითომც არაფერი, ვითომც მე აქ არა ვარ? თანაც მაშინ, როცა ქვეყნის ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია და ნაწილის ოკუპაციის შანსების შესახებ მსჯელობა და გადათვლა-გადმოთვლა ყოველდღიურად მიმდინარეობს,"** - სკეპტიკურად უყურებს ნეიტრალიტეტის საკითხს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ექსპერტი კახა გოგოლაშვილი. მისი აზრით, საქართველოსთვის ეს მოდელი არ გამოდგება, ნეიტრალიტეტი ვერ გახდება ის ფაქტორი, რომელიც რუსეთის აგრესიას შეაკავებს. **"ნეიტრალიტეტი გულისხმობს დაპირისპირებებში, აქციებში ჩაურევლობას. ევროპაში, რა თქმა უნდა, არის ისეთი ქვეყნები, რომლებიც ნეიტრალურ პოლიტიკას 250 წელია, ატარებენ, თუმცა მათ ამის საშუალებას გეოპოლიტიკური მდგომარეობა აძლევთ. მათზე არც საერთაშორისო სატრანზიტო მნიშვნელობის გზები და მაგისტრალები გადის და არც რუსეთი ინტერესდება მათი რეგიონის კონტროლით. მე ამ ქვეყნებს გამონაკლისებად აღვიქვამ. მსოფლიომ იქ გაცილებით მნიშვნელოვნად მიიჩნია საბანკო და საფინანსო სისტემების თავმოყრა, ერთგვარი რეზერვის შექმნა საკუთარივე უსაფრთხოებისთვის, რასაც სტაბილური გარემო და განვითარება სჭირდება. მათთვის დამუქრება იგივეა, რაც საკუთარი თავისთვის ომის გამოცხადება,"** - ამბობს კახა გოგოლაშვილი. იგი საქართველოს მდგომარეობის სპეციფიურობაზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ ჩვენთვის ამგვარი უსაფრთხოების გარანტად ნეიტრალიტეტი ვერ იქცევა. **"საქართველოს დაცვა სჭირდება. ეს შესაძლებელი იქნება, თუ უფრო დიდი და რეალური ფაქტორი გამოვა ჩვენ ღია მხარდამჭერად. დღეს საქართველომ რაღაც ახალი, შუალედური პოზიციების ძიება რომ დაიწყოს, რუსეთი მას ჩაყლაპავს, სრულად დაიმორჩილებს,"** - მიიჩნევს კახა გოგოლაშვილი. გარდა ამისა, მას მყარი ნეიტრალიტეტების მსხვრევის ისტორიული ფაქტებიც მოჰყავს და საკუთარ მოსაზრებას ამითაც ამაგრებს. **"ისტორიაში არსებობს ფაქტები, როდესაც ევროპის ნეიტრალური სახელმწიფოების ნეიტრალიტეტი აბსოლუტურად დაექვემდებარა დარღვევას. მაგალითად, ფინეთი -ის ნეიტრალური სტატუსის მიუხედავად საბჭოთა კავშირმა დაიპყრო. გავიხსენოთ თუნდაც ლაოსის მაგალითი, რომელიც 60-იან წლებამდე ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა და ამის გარანტორებად დიდი სახელმწიფოებიც გამოდიოდნენ, მაგრამ როდესაც ჩინეთმა მასზე თავდასხმა გადაწყვიტა, ლაოსის ნეიტრალიტეტიდან სრულებით აღარაფერი დარჩენილა,"** - განმარტავს კახა გოგოლაშვილი. მისი თქმით, რუსეთს სრულებით არ ადარდებს, იქნება თუ არა საქართველო ნეიტრალური. გოგოლაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს ნეიტრალურობა, ამაზე სავსებით თავისუფლად შეთანხმდებოდნენ ევროკავშირი, აშშ და რუსეთი. საქართველოს კი, უბრალოდ, მის გამოცხადებას შესთავაზებდნენ. **"დღევანდელ ვითარებაში საქართველო ნეიტრალური ვერ დარჩება. ამ იდეის მომხრეთა მხრიდან მე ვერ დავინახე რეალური არგუმენტები, რაც საქართველოში ნეიტრალიტეტის განვითარების შესაძლებლობებში დამარწმუნებდა,"** - აცხადებს გოგოლაშვილი.

# ოსმა სეპარატისტებმა ქართული სოფელი დაცხრილეს

ნათია მსხილაძე

გუშინ, დაახლოებით 7:30 სთ-ზე, ოსმა სეპარატისტებმა დე ფაქტო მთავრობისა და რუსული საჯარისო ნაწილების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, კერძოდ, ოსურ სოფელ ხელჩუადან გორის რაიონის ქართულ სოფელ მერეთის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.

შიდა ქართლის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სროლა, დაახლოებით, 10-15 წუთს გაგრძელდა. ქართული სოფელი როგორც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, ასევე ნაღმმტყორცნებიდან დაიცხრილა.

ნასროლი ყუმბარა კი სოფელ მერეთში, პოლიციის ახლად გახსნილ შენობას მოხვდა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, შენობის მხოლოდ ფასადი დაზიანდა. **"სროლა მსხვილკალიბრიანი ნაღმმტყორცნიდან განხორციელდა, რის შედეგადაც დაზიანდა პოლიციის უკან მდებარე ნაგებობა, ხოლო პოლიციის შენობაში აფეთქების დროს შუშები ჩაიმსხვრა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია,"** - ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. სოფელი მერეთი ე.წ. ოსური პოზიციებიდან მიმდინარე კვირას უკვე მეორედ დაიცხრილა.

ქართული პოლიციის შენობაზე მიტანილ იერიშს შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელი ვლადიმერ ჯუღელი მორიგ პროვოკაციად აფასებს და ოსური მხრიდან პროვოკაციების გაგრძელებას არ გამორიცხავს. **"5 დეკემბერს დე ფაქტო მთავრობა რუსული ჯარის მიერ ცხინვალში ქართველებზე გამარჯვებას ზეიმობს. სწორედ ამიტომ ქართული მხარე და სამართალდამცველი ორგანოები არ გამორიცხავენ, რომ კვლავ ჰქონდეს ადგილი პროვოკაციულ ქმედებებს,"** -განაცხადა შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელმა. დაცხრილული სოფელი გუშინ პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა მოინახულა. პრემიერმა მომხდარი ფაქტი პროვოკაციად შეაფასა და აღნიშნა, რომ

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლა აუცილებელია. **"ეს არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აუცილებლად უნდა შევიდნენ ევროკავშირის დამკვირვებლები. სეპარატისტთა პროვოკაციას კი ჩვენ უფრო მეტი სახლების აშენებით ვუპასუხებთ,"** - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

# რუსული სამთო ნაწილები საქართველოში

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მშენებარე სამხედრო ბაზების სტრუქტურაში სპეციალურად სამთო ადგილებში მოქმედებებზე გაწვრთნილი ბატალიონების შეყვანას გეგმავს. აღნიშნული ბატალიონებით ასევე დაკომპლექტდება სომხეთში, ტაჯიკეთში, ურალსა და შორეულ აღმოსავლეთში არსებული რუსული სამხედრო ბაზები. აღნიშნული განცხადება რუსეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების სამხედრო მომზადების განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჩაბანოვმა გააკეთა. მისი თქმით, ამჟამად რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ორი სამთო ბრიგადაა, რომლებიც ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და დაღესტანში იმყოფებიან. რუსეთის შს სამინისტროს შინაგან ჯარს კი ასეთი ერთი ბრიგადა ჰყავს, რომელიც ამჟამად ყაბარდო-ბალყარეთშია (ნალჩიკი) დისლოცირებული. ***ჯი-ეიჩ-ენი***

# შიში და იმედი კონფლიქტის ზონაში

დიმიტრი ავალიანი

*ქვეყანა ომის იარებს თანდათან იშუშებს. დევნილი მოსახლეობა ახალაშენებულ სახლებში ბინავდება, დროებითი საცხოვრებლები კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებშიც სწრაფად შენდება. თუმცა, ყოფით პირობებზე გაცილებით მნიშვნელოვანი ადგილობრივ მაცხოვრებელთათვის მშვიდობაა, რისი იმედიც მათ დღესთვის არ აქვთ.*



ნინო ედილაშვილის ფოტო

*სოფელ ერგნეთში სახლების უმრავლესობა გადამწვრია, ხალხიც თითქმის არ ჩანს.*

## იძულებითი ახალმოსახლეობა

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, გორი-თბილისის ტრასის გარშემო პეიზაჟი მნიშვნელოვნად შეიცვალა. დევნილებისთვის წეროვანთან აშენებული უზარმაზარი დასახლების შემდეგ, გზადაგზა კიდევ რამდენიმე, უფრო მცირე ზომის დასახლება გვხვდება.

გორში, ცხინვალისკენ მიმავალი გზის გასწვრივ, დევნილთა ქალაქი თითქმის მზადაა. მუშები ამჟამად გაზის გამათბობლების მონტაჟზე და აბაზანა-ტუალეტების დასრულებაზე მუშაობენ. სამუშაოები ორ თვეზე ოდნავ მეტ ხანს გრძელდება და მალე დასრულდება.

კიდევ ერთ - ბერბუკის დასახლებაში, გორი-მეჯვრისხევის გზაზე, დევნილთა ჩასახლების პროცესს შემთხვევით შევესწარით. სოფელ დისევიდან დევნილი ოქროპირიძეების ოჯახი აქამდე გორის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ცხოვრობდა. სანამ ოჯახის წევრებს საოჯახო ნივთები ავტობუსიდან გადმოაქვთ, რევაზ ოქროპირიძე გვიამბობს, რომ თითო სახლი ოთხ სულზე არის გათვლილი, შესაბამისად, მათი ექვსსულიანი ოჯახი ორ სახლში განთავსდება.

ჩვენს კითხვაზე: **"ამ პირობებით კმაყოფილი ხართ?"** რევაზი გვპასუხობს:

**"აბა, რას ვიზამთ... ეს არც მთავრობის და არც ჩვენი ბრალია. ვისი ბრალიცაა, ყველამ ვიცით."**

**"იმედი გაქვთ, რომ დაბრუდებით?"**

**"იმედი უნდა გვქონდეს, რა თქმა უნდა. მთავრობას ვენდობით. წელს თუ არა, იქნებ ორი წლის შემდეგ მაინც დავბრუნდეთ".**

დისევი ქართული მხარის კონტროლირებადი ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს. ოჯახის უფროსი შალვა ოქროპირიძე ამბობს, რომ იქ ადგილობრივები "შეპარვით" შედიან. დღეისთვის ოჯახის წევრებს საკუთარი კარ-მიდამოს შორიდან ყურება უწევთ.

**"ჩვენს ვაშლს ისე ასხია, ნეტავ, დაგვაკრეფინა..."** - წუხილით ამბობს დიასახლისი ტანია ოქროპირიძე და ქალიშვილის ნაჩუქარ ყვავილიან ქოთანს ფანჯრის რაფაზე ათავსებს.

## მეჯვრისხევი

გორაკები სოფელ მეჯვრისხევის გარშემო რუსულმა და ოსურმა მხარემ დაიკავა. ადგილობრივი ფერმერი ზაქრო გინტური თავისი კუთვნილი ფერმიდან იქვე ახლოს, მთაზე განთავსებულ კარავს და სანგრებს გვიჩვენებს. კარვის თავზე დროშა ფრიალებს, თუმცა, ამ მანძილიდან არ ჩანს, ოსური თუ რუსული.

ზაქრო გინტური ამბობს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ სოფლის მოსახლეობა ვერც საძოვრებით სარგებლობს და ტყეში გასვლასაც ერიდება, ვინაიდან იქ ოსი შეიარაღებული პირები დადიან.

მოსახლეობა სოფლიდან 10 აგვისტოს დილით გაიხიზნა, თუმცა, მოხუცების უმრავლესობა საკუთარ სახლებში დარჩა. დაბრუნება მეჯვრისხეველებმა მხოლოდ "ბუფერული ზონებიდან" რუსული ძალების გასვლის შემდეგ დაიწყეს.

დღესითვის სოფელს ომის კვალი არ ეტყობა - სახლები მთელია, არ ყოფილა ძარცვის შემთხვევები, სექტემბერში ნიღბიანი ყაჩაღების მიერ

ცხვრის ფარის გატაცების გარდა. გადარჩა ზაქრო გინტურის კუთვნილი პირუტყვიც. იმას, რომ მეჯვრისხევი კონფლიქტის დროს ნაკლებად დაზარალდა, იგი მეზობელი ოსური სოფლის ღრომის მაცხოვრებლებთან აქაურთა კარგი ურთიერთობით ხსნის.

**"ოსებთან ყოველთვის კარგი დამოკიდებულება გვქონდა. კვირაობით ისინი ბაზრობაზე სავაჭროდ გადმოდიოდნენ, ზოგიერთი ახლაც ახერხებს გადმოსვლას,** - ყვება გინტური, - **ღრომში ყველა ოჯახში ვარ ნამყოფი. ვეტერინარი ვარ და იქაურები ხშირად მთხოვდნენ დახმარებას. კონსულტაციებისთვის ახლაც მირეკავენ, თუმცა იქით მხარეს აღარ გადავსულვარ".**

მისი თქმით, ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა მას არა ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ ცხინვალიდან ჩასული "ბოევიკების" შიშით არ სურს, რომლეთა მხრიდანაც **"აგრესია იგრძნობა".**

ზაქრო გინტური ყვება, რომ 7 აგვისტოს ქართულმა სპეცრაზმმა ღრომი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა და ოსური მოსახლეობის მიმართ არანაირი ძალადობის ფაქტი არ დაფიქსირებულა. მას შემდეგ, რაც რუსულ-ოსური ძალები იერიშზე გადმოვიდნენ, ომმა მეჯვრისხევიც დაინდო.

**"91 წელს ჩვენ არ შევუშვით ღრომში ქართული ფორმირებები. ვფიქრობ, ამჯერად მათ** (ღრომელებმა) **დაგვიცვეს,"** - მიიჩნევს ზაქრო გინტური.

## ტყვიავი-ერგნეთი

ტყვიავში ადგილობრივი მუშები ერთ-ერთი დამწვარი სახლის ეზოში კოტეჯის საძირკველს თხრიან. კოტეჯი ძალიან მცირე ზომის იქნება - სულ ექვსი კვადრატული მეტრი. თუმცა, ეს ოჯახს საშუალებას მისცემს, ზამთარი ღია ცის ქვეშ არ გაატაროს. დროებით საცხოვრებლებს მოსახლეობას სახელმწიფო უშენებს და განადგურებული სახლების მფლობელებს ფულად კომპენსაციასაც უხდის. მუშების თქმით, ამ სახლის პატრონებმაც კუთვნილი კომპენსაცია - 15 ათასი დოლარი, უკვე მიიღეს.

სულ სოფელში 60 სახლამდე დაიწვა. კოტეჯების მშენებლობა 20 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს.

სოფელ ერგნეთში სახლების უმრავლესობა გადამწვრია, ხალხიც თითქმის არ ჩანს. თუმცა, ეზოებში მშენებარე კოტეჯები მრავლად გვხვდება. წერეთლების ოჯახი კოტეჯს თავად აშენებს, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მასალითა და ხელფასით. **"ეზოში კი არა, ჩვენივე მინდორში ვაშენებთ, ჩვენს დამწვარ სახლს რომ არ ვუყუროთ ყოველ დღე"**, - ამბობს ოჯახის უფროსი აკაკი წერეთელი. კომპენსაცია სახლისთვის მას ჯერ არ მიუღია და არც მისი ოდენობით ჩანს კმაყოფილი: **"ჩემი სახლის აღდგენას 50 ათასიც არ ეყოფა".**

იგი აგვისტოს მოვლენებსაც იხსენებს და აცხადებს, რომ 7 აგვისტოს სროლა ცხინვალის მხრიდან დაიწყო.

**"აქვე ჭაბურღილი გვაქვს და სოფლისთვის წყალი უნდა ჩამერთო. რომ მივედი, ერთი რაკეტა იქ ჩამოვარდა, შევშინდი და გავიქეცი. მეორე უკან მომაყოლეს. ვიფიქრე, მე მესრიან-თქო. ერთი რაკეტა სახლთანაც დაეცა,"** - იხსენებს აკაკი 7 აგვისტოს შუადღეს და ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადა, **"აქედან ერთ ტყვიაც არ გავარდნილა, სროლა ისევ იქიდან დაიწყო".**

**"ქართველებს ცხინვალი არ დაუბომბავთ,** - დაჟინებით ამტკიცებს აკაკის შვილი როსტომი, **- აქედან ჩანდა, რომ ქალაქში მხოლოდ რამდენიმე ობიექტი დაიბომბა. ქალაქს კი ჩვენები კი არა, რუსები ბომბავდნენ".**

**"ომი კოკოითის და პუტინის ბრალია,"** - ამტკიცებს აკაკი და ამობს, რომ თვითონ სკოლა ცხინვალში დაამთავრა, რვა წელი იქ იმუშავა და უამრავი ოსი მეგობარი ჰყავს. ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა? - ამ კითხვას იგი ასე პასუხობს: **"არა, ისინი მაინც არ მოგვეშვებოდნენ. ახლაც პროვოკაციებზე მიდიან, ყოველ ღამე ისვრიან. უნდათ, რომ ჩვენმა ბიჭებმაც პასუხი გასცენ, მაგრამ ჩვენები არ ესვრიან".**

ერგნეთის საგუშაგოზე გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს - ამწეთი ბეტონის ფილებს ალაგებენ. წინ, რამდენიმე ათეულ მეტრში, ასევე გამაგრებული პოსტია, რომლის თავზეც რუსული და ოსური დროშები ფრიალებს.

ცხინვალი აქედან ძალიან ახლოსაა. ქალაქს ომის კვალი ალაგ-ალაგ ეტყობა, თუმცა ამ მანძილიდან ცხინვალი სტალინგრადს ნამდვილად არ ჰგავს.

ქართველი ოფიცერი ცხინვალის ერთ-ერთ მაღალ შენობაზე მიმანიშნებს, რომლის სახურავზეც შავად მოჩანს პატარა სარკმელი: **"იქ ახლა სნაიპერი ზის და გვაკვირდება".** მისი თქმით, საგუშაგოს გამაგრება ქართველმა პოლიციელებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ბლინდაჟების აგება და პოზიციების გაძლიერება მოწინააღმდეგემ დაიწყო.

მოძრაობა ახალმოწყობილ "საზღვარზე" მაინც შეინიშნება - აქ "წითელი ჯვრისა" და სასწრაფო დახმარების მანქანები დგას. "წითელი ჯვრის" წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ცხინვალიდან ავადმყოფის გადმოყვანას ელოდებიან, რომელიც სამკურნალოდ გორის კლინიკაში გადაჰყავთ. ქართველი ოფიცერი ამტკიცებს, რომ ომის შემდეგ ასეთი შემთხვევა რამდენიმე იყო.

მეჯვრისხევშიც და ერგნეთშიც მოსახლეობას იმის იმედი ბოლომდე არ აქვს, რომ აგვისტოში მომხდარი კიდევ ერთხელ არ განმეორდება. ერგნეთის ზოგიერთი მცხოვრები მშენებლობისგან და საკუთარი დამწვარი სახლების შეკეთებისგანაც თავს იკავებს - **"ვინ იცის, კიდევ რა იქნება?"** ხანგრძლივი მშვიდობის იმედს აქაურებს ვერც ევროკავშირისა და ეუთო-ს დამკვირვებლების დანახვა აძლევთ.

**"საერთაშორისო დახმარების წყალობით ხალხმა შემოდგომაზე სავარგულები დაამუშავა. მაგრამ ჩვენთან ასე ხუმრობენ - ვინ იცის, გორაკიდან რუსები რომ გვათვალიერებენ, იმას ხომ არ ამბობენ, თქვენ დათესეთ და ჩვენ ავიღებთო?"** - ნახევრად ხუმრობით ამბობს მეჯვრისხეველი ზაქრო გინტური.

### ცხედარი ჩაის პლანტაციაში იპოვეს

გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში ადგილობრივმა მოსახლობამ მოკლული მამაკაცის ცხედარი იპოვა. როგორც "აფხაზეთის მედიაცენტრს" ზემო ბარღების მოსახლობამ აცნობა, 30 წლის დიმა გამისონია აფხაზმა სპარატისტებმა მოკლეს, შემდგომ კი მისი ცხედარი ჩაის პლანტაციაში გადამალეს.

ადგილობრივთა განცხადებით, გამისონიას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით ნასროლი ტყვიის რამდნიმე ჭრილობა აღენიშნება. ამ დროისთვის კი მისი მკვლელობის მოტივი უცნობია.

რამდნიმე დღის წინ გამისონია სახლიდან გავიდა და გაურკვეველი ვითარებაში გაუჩინარდა. დაკარგულის ოჯახი მას უშედეგოდ ეძებდა. გუშინ გვიან ღამით კი მისი ცხედარი ჩაის პლანტაციაში მეზობლებმა იპოვეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ევროსასამართლოს საქმეებზე მომუშავე ადვოკატების შეკრება

ქუთაისში, ადამიანის უფლებათა სახლში ევროსასამართლოს საქმეებზე მომუშავე ადვოკატთა ქსელის შეხვედრა გაიმართება.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრები აცხადებენ, დასავლეთ საქართველოში მოქმედი პრაქტიკოსი ადვოკატები ქუთაისში ევროსასამართლოსადმი მიმართვის და საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს განიხილავენ.

შეხვედრას გახსნიან ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" გამგეობის თავმჯდომარე მანანა კობახიძე და პროექტის "სტრატეგიული სამართალწარმოება კავკასიაში" კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი შორენა ნაზღაიძე.

ქუთაისში შეკრებილი ადვოკატები, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ექსპერტებთან ერთად განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა საქმის წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; წამების აკრძალვა, სიცოცხლის და სამართლიანი სასამართლოს უფლება - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები და საქართველოში არსებული პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. შეხვედრის მონაწილეები განიხილავენ სპეციალურ კაზუსს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და ურთიერთთანამშრომლობის სამუშაო გეგმას.

"ევროსასამართლოს საქმეებზე მომუშავე ადვოკატთა ქსელი", ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ინიციატივით, 2006 წელს შეიქმნა და მასში 50-ზე მეტი ადვოკატია გაერთიანებული მთელი საქართველოს მასშტაბით. ქსელის მიზანია, ევროსასამართლოს საქმეებზე მომუშავე პრაქტიკოსი ადვოკატების პროფესიონალიზმის ზრდა, საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებისა და პრეცედენტული სამართლის დანერგვის გზით საქართველოს კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების გაძლიერება. **ინტერპრესნიუსი**

### სოდ-მა ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს. სოდი-ს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით "ჰეროინზე" დაკავებული არიან 33 წლის ბესიკ ბარქაია და 31 წლის კახაბერ ვაშაკიძე. შსს-ის ინფორმაციით, ბარქაიას ჩხრეკისას ამოღებულია 5,97 გრამი "ჰეროინი", ხოლო ვაშაკიძის ჩხრეკისას 4,203 გრამი "ჰეროინი.

რაც შეეხება 38 წლის გოჩა გეგიაძეს, სოდ-მა მისი ჩხრეკისას 11 აბი "სუბუტექსი" ამოიღო.

სამივე ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით აღიძრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ძარცვაში ეჭვმიტანილები დააკავეს

სამართალდამცველებმა ძარცვაში ეჭვმიტანილები დააკავეს. შსს-ის ინფორმაციით, ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თაზნამშრომლებმა 25 წლის ალექსანდრე კოლომენსკი და 23 წლის მალხაზ სტეფანიანი დააკავეს.

42 წლის გელა ხმელიძე კი, იგი იგივე ბრალდებით გლდანი-ნაძალადევის პოლიციამ დააკავა.

სამივე ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით, რაც გულისხმობს ძარცვას, ანუ სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებას და სასჯელის სახით მინიმუმ 3-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დნმ-ის ექსპერტიზის შედეგად 75 კრიმინალური საქმე გაიხსნა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიურ ლაბორატორიაში 2008 წელს 248 დნმ-ის ექსპერტიზა ჩატარდა.

აქედან 41 ანალიზი კერძო მიმართვის საფუძველზე, სადავო მამობის დასადგენად დაინიშნა, 75 ექსპერტიზა - საგამოძიებო ორგანოების მიმართვის საფუძველზე, კრიმინალური საქმეების გახსნის მიზნით, დანარჩენი კი - სხვა საქმეებზე.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებვენ, დნმ ექსპერტიზის შედეგად, ბოლნისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე დაკავებული ექვსი ეჭვმიტანილი გამართლდა. დაზარალებული ოჯახიდან ამოღებული ლუდის ბოთლის პირის ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ არც ერთ ეჭვმიტანილს ამ ბოთლიდან არ დაულევია.

ასევე, დნმ-ის ექსპერტიზის საფუძველზე დადგინდა, რომ თბილისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე დაკავებული სამი ეჭვმიტანილიდან დამნაშავე მხოლოდ ერთი მათგანი იყო. ანალიზი ჩაუტარდა დაზარალებულისა და ეჭვმიტანილების ტანსაცმელზე აღმოჩენილ სისხლის ლაქებს.

რეგიონში უნიკალური დნმ კვლევის ლაბორატორია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გასული წლის თებერვალში გაიხსნა. ჩატარებული კვლევების მაღალი ხარისხის საფუძველზე, ლაბორატორია ევროპის საექსპერტო დაწესებულებათა ასოციაციის წევრი გახდა. შედეგად, ქართველ ექსპერტთა მიერ გაცემული დასკვნა საერთაშორისო დონეზეა აღიარებული.

*საკუთარი ინფორმაცია*

# საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო

*საზღვრის დაცვის პოლიციის რეფორმირების შესახებ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო. კანონპროექტის ახალი პაკეტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკაკი მინაშვილმა მოამზადეს.*

ახალი კანონით, სახელმწიფო საზღვრის დაცვას, საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოც განახორციელებს.

სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელება, სახელმწიფო საზღვრის ცალკეული მონაკვეთების დაცვის გაძლიერებისა და სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას არსებული სამართლებრივი ბარიერების შემცირების მიზნით, სამინისტროს სხვა დანაყოფებსაც დაევალებათ.

სხვა დანაყოფებში, საპატრულო პოლიციასთან ერთად, შსს-ს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებიც იგულისხმება, მათ შორის - სპეცრაზმიც.

სასაზღვრო პოლიციას საკანონმდებლო დონეზე შეუნარჩუნდება ყველა უფლებამოსილება, რაც დღეისთვის აქვს.

კანონპროექტის ინიციატორების მტკიცებით, კანონში ცვლილება სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერების და ეფექტურად დაცვის მიზნებით არის განპირობებული.

**"უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში განვითარებული მოვლენების, რუსეთის ფედერაციის მხრიდან გამოხატული პირდაპირი სამხედრო აგრესის ფონზე, ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემა უფრო მოქნილი და ყველა შესაძლო საფრთხის მიმართ ადეკვატური უნდა გახდეს,"** - ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში და იქვე განმარტებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის მმართველობის სფეროში შემავალ სასაზღვრო პოლიციასთან ერთად, საკანონმდებლო დონეზე უნდა მიეცეს სახელმწიფო საზღვრის ცალკეული მონაკვეთების დაცვაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

**"დღეს მოქმედი საკანონმდებლო აქტებით, აღნიშნული უფლებამოსილება ცალსახად აქვს მხოლოდ სასაზღვრო პოლიციას, რაც შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება არასაკმარისად ჩაითვალოს,"** - აღნიშნულია კანონპროექტში.

გარდა ამისა, სასაზღვრო-გამტარი პუნქტების ფარგლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით მხოლოდ სასაზღვრო პოლიცია აღარ დაადგენს. ცვლილებების პროექტით, სასაზღვრო-გამტარი პუნქტების ფარგლებს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგენს და დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ომბუდსმენის სამი სარჩელი

*სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში ერთდროულად სამი სარჩელი შეიტანა. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი სარჩელით, ომბუდსმენი უკვე მესამედ ითხოვს ერთი და იმავე მუხლის არაკონსტიტუციურად გამოცხადებას და გაუქმებას. საუბარია, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3-ე მუხლზე.*

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3-ე მუხლი ითვალისწინებდა აქციათა სავალდებულო მიყიდვას. კერძოდ, თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში ჰქონდა სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95 პროცენტზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება ჰქონდა, გამოესყიდა სხვა აქციონერთა აქციები სამართლიან ფასად. ომბუდსმენის მტკიცებით, სადავო აქტი ზღუდავდა მცირე აქციონერთა უფლებას, თავისუფლად განეკარგათ კუთვნილი საკუთრება, რაც სოზარ სუბარის განმარტებით, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საკონსტიტუციო სასამართლომ მაშინ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3-ე მუხლის არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნო. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან ცოტა ხანში, საკანონმდებლო ორგანომ კანონში შეიტანა ანალოგიური შინაარსის მუხლი 53.4, რომელიც, ასევე ითვალისწინებს მსხვილი აქციონერის მიერ მცირე აქციონერებისგან აქციათა სავალდებულო გამოსყიდვას.

როგორც ომბუდსმენის აპარატში განმარტავენ, კანონს დაემატა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის ნორმა. ანუ, სადავო საკითხი შინაარსობრივად არ შეცვლილა, თუმცა ნორმამ განიცადა ფორმალური ცვლილება. ამის გამო, ეს გადაწყვეტილება ომბუდსმენმა კიდევ გააჩივრა.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად სახალხო დამცველის სარჩელი, რადგან მიიჩნია, რომ სადავო აქტი უკვე გაუქმებული იყო, თუმცა სახალხო დამცველის აზრით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული სადავო აქტი არაკონსტიტუციურია იმავე არგუმენტებზე დაყრდნობით, რომელიც მოშველიებული ჰქონდა წინა სარჩელებშიც.

მეორე სარჩელით, სახალხო დამცველი საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანაზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნას ითხოვს. ომბუდსმენის აზრით, ასევე არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის ა ქვეპუნქტი. ამ ნორმით განსაზღვრულია ის პირები, რომელთაც უფლება აქვთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ სარჩელით ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების გაუქმების მოთხოვნით.

"სასამართლოსთვის მიმართვის უფლება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა პირისთვის, რომელიც მისი იურისდიქციის ქვეშ ექცევა. ასეთ პირებს კი განეკუთვნებიან, როგორც მისი მოქალაქეები, ასევე მოქალაქეობის არმქონე და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, იურიდიული პირები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი რეგისტრირებულნი საქართველოში," - განმარტავენ ომბუდსმენის ოფისში.

რაც შეეხება მესამე სარჩელს. სახალხო დამცველი ამ სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოითხოვს, არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს ნორმები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ და მეოთხე პუნქტებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# განზრახ მკვლელობაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

თამარ კაციტაძე

*საბრალდებო დასკვნა, რომელიც პროკურატურამ ხუთი წლის წინ მომხდარ განზრახ მკვლელობის საქმეზე შეადგინა, თბილისის საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და განსასჯელი, რომელისთვისაც ბრალდების მხარე თითქმის 15-წლიან პატიმრობას ითხოვდა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.*



ანუკა უთურგაიძის ნახატი

რამდენიმე წლის წინ მომხდარი მკვლელობის გამო, პირველი ინსტანციის სასამართლოში, სასამართლო გამოძიება რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ხნის მანძილზე ბრალდების მხარე ცდილობდა დაერწმუნებინა მართლმსაჯულება, რომ სანდრო კობერიძე ელდარ ჯანელიძემ მოკლა. თუმცა, მოგვიანებით, როდესაც გამოძიების მტკიცებულებები უარგუმენტო გამოდგა, პროკურატურამ საკმაოდ დიდი დრო და ძალისხმევა დახარჯა იმაზე, რომ განსასჯელი საპროცესო შეთანხმებაზე დაეყოლიებინა, თანაც, არც თუ ცუდი პირობებით. როგორც ჯანელიძის ადვოკატი ირწმუნებოდა, ბრალდებულს პროკურატურა ბრალის აღიარების გარეშე, მხოლოდ სასჯელზე დათანხმების შემთხვევაში, ჯერ მხოლოდ ოთხწლიან პატიმრობას სთავაზობდა, მოგვიანებით კი, სასჯელის ვადა ორ წლამდე გაანახევრეს. მიუხედავად ამისა, ელდარ ჯანელიძე გარიგებაზე არ წავიდა.

**"მე უდანაშაულო ვარ. მით უმეტეს, მკვლელობა არ ჩამიდენია, მეტიც, გარდაცვლილ კობერიძეს საერთოდ არც ვიცნობდი, ამიტომ არანაირ საპროცესო გარიგებაზე არ წავალ. მომისაჯეთ რაც გინდათ. სიმართლეს ოდესმე დავამტკიცებ,"** - განსასჯელის ამ სიტყვების გამო რამდენიმე სასამართლო პროცესი იმ იმედით გადაიდო, რომ ადვოკატი თავის დაცვის ქვეშ მყოფს საპროცესო გარიგებაზე როგორმე დაითანხმებდა.

სწორედ საპროცესო გარიგებაზე შეუთანხმებლობა გახდა იმის მიზეზი, რომ ელდარ ჯანელიძის დაცვაზე საბოლოოდ უარი თქვა მისმა ადვოკატმაც. უფრო სწორედ, პოზიციების შეუთანხმლებლობის მოტივით, ადვოკატმა განსასჯელს აცილებაზე მოაწერინა ხელი. საბოლოო სიტყვის თქმისას და განაჩენის გამოცხადებისასაც სასამართლოზე განსასჯელი ადვოკატის გარეშე წარსდგა. პროკურატურამ ელდარ ჯანელიძისთვის 14 წლით, 10 თვითა და 5 დღით პატიმრობა მოითხოვა.

ელდარ ჯანელიძის პატიმრობის ისტორია ასე დაიწყო. 2003 წლის 8 თებერვალს, ნანა მამარდაშვილის აგარაკზე მეზობლებმა სანდრო კობერიძის ცხედარი იპოვეს.

საქმის მასალების თანახმად, სამართალდამცველებმა დაკითხეს დიასახლისი ნანა მამარდაშვილი და მისი შვილი, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ მკვლელობის ღამეს, 12 საათზე მათთან მივიდა ელდარ ჯანელიძე. ამ დროს ნანა მამარდაშვილთან სტუმრად იყო მისი მეგობარი სანდრო კობერიძეც, რომელსაც მანამდე ჯანელიძე არ იცნობდა.

**"შვილის დასაძინებლად გვერდით ოთახში გავედი, მაგრამ ნასვამი ვიყავი და მეც დამეძინა. სტუმრების კამათმა გამაღვიძა, ისინი ვინმე "შუტკას" გამო დაობდნენ. მერე გარეთ გავიდნენ, დავინახე, რომ ჯანელიძეს დანა ჰქონდა გახსნილი. ცოტა ხნის შემდეგ გავიხედე, მაგრამ სიბნელეში ვერავინ დავინახე, აღარც კამათის ხმა ისმოდა, ამიტომ მშვიდად შევედი სახლში. მეორე დღეს კი თბილისში წავედი,"** - სწორედ ნანა მამარდაშვილის და მისი შვილის ჩვენების საფუძველზე ელდარ ჯანელიძე გამოძიებამ განზრახ მკვლელობაში ბრალდებულად ცნო. მოგვიანებით, სასამართლოს დადგენილებით, იგი ძებნილადაც გამოცხადდა.

გამოძიება ირწმუნება, რომ ჯანელიძესა და კობერიძეს შორის ნანა მამარდაშვილის ეზოში დაწყებული დავა მამფორიას ეზოში გაგრძელდა. დაახლოებით, ღამის 3 საათზე ჯანელიძემ კობერიძეს დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რის გამოც იგი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დამნაშავე მიიმალა.

აღნიშნული ბრალდების საფუძველზე ელდარ ჯანელიძე სამართალდამცველებმა ხუთი წლის შემდეგ, 2008 წლის 5 მარტს, რუსთავში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს. როგორც თავად ბრალდებული და სხვა მოწმეებიც ირწმუნებოდნენ, ამ ხნის მანძილზე იგი არსად დამალულა - რუსთავში თავისუფლად დადიოდა, მაგრამ მისი დაჭერა არავის უცდია.

დაკავებისთანავე, ჯანელიძემ წარდგენილ ბრალდებაში თავი უდანაშაულოდ ცნო და კობერიძის მკვლელობის გარდა, მასთან ნაცნობობაც კატეგორიულად უარყო. მისი მკვლელად გამოცხადება კი პოლიციის დაინტერესებით ახსნა.

ბრალდებულის ჩვენებით, იგი პატიმრობიდან 2002 წელს გათავისუფლდა, რის შემდეგაც ადგილობრივი სამართალდამცველები მოსვენებას აღარ აძლევდნენ. სამართალდამცველებმა ერთხელ იგი დააკავეს კიდეც, თუმცა მას შემდეგ, რაც ოჯახი ჟურნალისტების მიყვანით დაიმუქრა, მას წვრილმანი ხულიგნობისთვის მინიმალური ჯარიმა დააკისრეს და გაათავისუფლეს. ერთხელ მასთან, ეზოში პოლიციის თანამშრომლებიც მივიდნენ და შეშინების მიზნით პისტოლეტიდან გაისროლეს. მასრა ოჯახში დღემდე ინახება.

2002 წლის დეკემბერში ჯანელიძეს დაუდგენელმა პირებმა საკუთრის სახლის წინ ორივე ფეხში ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. იგი თბილისი №9 საავადმყოფოში მკურნალობდა, სადაც პოლიციამ მიაკითხა. როგორც მისი ოჯახის წევრები ირწმუნებიან, დამნაშავედ კვლავ ელდარ ჯანელიძის გამოყვანა სურდათ.

რაც შეეხება 2003 წლის 7-8 თებერვალს, ანუ სანდრო კობერიძის მკვლელობის დღეს, როგორც თავად ელდარ ჯანელიძე, მისი ოჯახის წევრები და სხვა მოწმეებიც წინასწარ და სასამართლო გამოძიებისას ირწმუნებოდნენ, იგი მკვლელობის დროს ფონიჭალაში, დეიდასთან იყო.

ჯანელიძის ინტერესების დამცველი ჯერ წინასწარი გამოძიებისას, შემდეგ კი სასამართლო პროცესზე ირწმუნებოდა, რომ ელდარ ჯანელიძის ბრალდების საქმეში მამარდაშვილის და მისი შვილის ჩვენებების გარდა, სხვა არანაირი, თუნდაც ირიბი მტკიცებულება არ არსებობს, რომლითაც დადასტურდებოდა მის მიერ არათუ მკვლელობის ჩადენა, არამედ მამარდაშვილის სახლში ყოფნა.

**"საქმის მასალებში არის ცხედარის და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სადაც დამსწრეებად მითითებულია ორი პიროვნება - ქოჩიაშვილი და პაპუაშვილი, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ. საიდან მოხვდნენ ისინი დილის 9 საათზე თბილისიდან კარგა მოშორებით, შემთხვევის ადგილზე, არავინ დაინტერესებულა. სამაგიეროდ, ოქმში არ არის აღნიშნული არც ერთი სამართალდამცველი, კრიმინალისტი, ექსპერტები და სხვა სპეციალისტები, რომელთა ყოფნაც ცხედარის აღმოჩენისას და დანაშაულის სრულყოფილად გამოძიებისთვის სავალდებულოა. მეტიც, ოქმის მიხედვით, მკვლელობის ადგილას არ არის აღმოჩენილი სისხლის ლაქებიც კი, რომელიც არ შეიძლებოდა არ დარჩენილიყო მკვლელობის შემდეგ, რადგან ექსპერტიზის დასკვნით, კობერიძეს ერთი ჭრილობა გულთან აქვს მიყენებული და მისი გარდაცვალება მწვავე სისხლნაკლებობამ გამოიწვია,"** - ამტკიცებდა ადვოკატი, რომელიც ვარაუდობდა, რომ კობერიძე მოკლეს სხვაგან და ცხედარი შემდეგ მიიტანეს იქ, სადაც აღმოაჩინეს. ამ ვერსიას ამყარებდა ისიც, რომ დაკითხულ მეზობლებს არანაირი ჩხუბის ხმა, ან სხვა სახის ხმაური არ გაუგიათ, არადა, მოკლულს დანით მიყენებული აქვს ხუთი ჭრილობა.

ის, რომ ნანა მამარდაშვილის ჩვენება სიმართლეს არ შეესაბამებოდა, ადვოკატმა სხვა მტკიცებულებებითაც დაადასტურა. კერძოდ, მთავარი მოწმის - ნანა მამარდაშვილის ჩვენებით, სანდრო კობერიძე მკვლელობის დღეს აბსოლუტურად ფხიზელი იყო, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ უარყო. ასევე, არ დადასტურდა მისი მტკიცება, თითქოს დანაშაულის ღამეს ელდარ ჯანელიძე საშინლად მთვრალი იყო. ჯანელიძის სამედიცინო ისტორიით, მას მკვლელობამდე თვენახევრით ადრე გაკეთებული ჰქონდა ანტიტეტანური შრატი და სპირტიანი სასმელის მიღების შემთხვევაში იგი გონებას დაკარგავდა.

**"ჩემი აზრით, კობერიძე მოკლა ისეთმა პიროვნებამ, რომლის გამხელა არც მამარდაშვილს და არც სამართალდამცველებს არ უნდოდათ, ამიტომაც, მოიგონეს ეს ისტორია. არ არის გამორიცხული, რომ კობერიძე მამარდაშვილის სახლში მოკლეს, რომელიც ცოტა ხანში გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა, თავად დიასახლისი კი სხვაგან გადასახლდა,"** - ამბობდა სასამართლოზე ელდარ ჯანელიძე.

სასამართლო პროცესზე კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა. ერთ-ერთმა მოწმემ, ნანა მამარდაშვილის მეზობელმა იასონ შავლაყაძემ, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, სასამართლო პროცესზე შეიტყო, რომ წინასწარი გამოძიებისას მისი დაკითხვის ოქმში აღნიშნული იყო, თითქოს, მან მკვლელობის დღეს ელდარ ჯანელიძე თავის სახლის წინ დაინახა, როცა იგი გარდაცვლილს აგინებდა. სასამართლო სხდომაზე მოწმემ ეს დეტალი უარყო და განაცხადა, რომ იმ დღეს ჯანელიძე საერთოდ არ უნახავს. განაცხადა, რომ ჩვენებაზე გამომძიებელმა ხელი ისე მოაწერინა, რომ ეს ნაწილი არ წაუკითხავს, რადგანაც, კითხვა არ იცის. სასამართლოზე დაკითხვის შემდეგ იასონ შავლაყაძე პროკურატურაში დაიბარეს და ცრუ ჩვენებისთვის დააპატიმრეს. იგი დღემდე ციხეშია.

ამ და საქმეში არსებული სხვა დეტალების მოსმენის, მოწმეების დაკითხვისა და მტკიცებულებების განხილვის შემდეგ, მოსამართლე ეკა არეშიძემ პროკურატურის პოზიცია არ გაითვალისწინა. მან მიიჩნია, რომ გამოძიებამ ვერ შეკრიბა უტყუარი მტკიცებულებები, რითაც ჯანელიძისთვის წაყენებული ბრალდება დადასტურდებოდა. ამ და სხვა გარემოებებზე დაყრდნობით, მოსამართლემ განსასჯელი უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

**"იმისათვის, რომ საპროცესო გარიგებაზე დავთანხმებულიყავი, საშინელ ზეწოლას განვიცდიდი. მეუბნებოდნენ, თუ სასჯელზე არ დავთანხმდებოდი, ჩემს დაძმას პრობლემებს შეუქმნიდნენ, მე კი გათავისუფლების შემთხვევაში, პოლიცია მორიგ დანაშაულს დამაბრალებდა და კვლავ ციხეში შემაბრუნებდა. ჩემი გამართლება მოსამართლე ეკა არეშიძის მხრიდან გმირობა იყო, მისი ძალიან დიდი მადლობელი ვარ,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას პატიმრობიდან გათავისუფლებულმა ელდარ ჯანელიძემ.

**განსასჯელი, რომელისთვისაც ბრალდების მხარე 15-წლიან პატიმრობას ითხოვდა, მოსამართლემ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.**

## ახალი სამსახურებრივი ფორმა აღსრულების პოლიციელებისთვის

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს პოლიციელებს ახალი სამსახურებრივი ფორმა აქვთ.

სპეციალური ტანსაცმელი თანამედროვე დიზაინით არის შეკერილი. ქურთუკზე, ქუდსა და პერანგზე ლოგო და სამსახურის დასახელებაა მინიშნებული - აღსრულების ეროვნული ბიურო.

ახალი კანონის მიხედვით, რომელიც ძალაში 1 ოქტომბრიდან შევიდა, აღსრულების დეპარტამენტი, აღსრულების ეროვნულ ბიუროდ ჩამოყალიბდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქიბარ ხალვაშის საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა

თავდაცვის ექს-მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მეგობრის, ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის საქმეზე გამოძიება ამ დრომდე არ დაწყებულა.

ხალვაშის ადვოკატის აკა ბერაიას თქმით, არც პროკურატურისგან და არც პარლამენტისგან ხალვაშის საქმის გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით პასუხები არ მოსულა.

1 დეკემბერს ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა მისი კუთვნილი ტელეკომპანია "რუსთავი 2-ისა" და ტელეკომპანია "მზის" წილების იძულებით, მუქარის გზით სხვა პირთა საკუთრებაში გადაფორმების ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურას - საჩივრით, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თხოვნით მიმართა. **პირველი**

## სარეგისტრაციო საზღვრების დაზუსტებაზე მუშაობა გრძელდება

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გარდაბნის, ბოლნისის, რუსთავის, თეთრიწყაროსა და საგარეჯოს სარეგისტრაციო ზონისა და სექტორის ახალი საზღვრები დაამტკიცა. ამით მოიხსნა პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში არსებობდა, კერძოდ: ნაკვეთების გადაფარვა, ორმაგი რეგისტრაცია სხვადასხვა სარეგისტრაციო ზონაში და ა.შ. ეს აფერხებდა ქონების რეგისტრაციის პროცედურას და, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო დავის საგანიც ხდებოდა.

ზემოჩამოთვლილი რაიონების გარდა, უკვე დაზუსტებულია შემდეგი სარეგისტრაციო ზონების საზღვრები: თბილისი, მცხეთა, დუშეთი, მარნეული. მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მასშტაბით ყველა სარეგისტრაციო ზონის საზღვრების დასადგენად. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პროკურორებმა თანამდებობები გაცვალეს

ქუთაისისა და სამტრედიის პროკურორებმა თანამდებობები გაცვალეს.

საკადრო გადაადგილება ორივე ქალაქის პროკურატურაში გუშინ განხორციელდა.

ქუთაისის პროკურორად 29 წლის ზაზა ცხაკაია დაინიშნა. მან ჯუმბერ ლელაძე შეცვალა, შესაბამისად, ლელაძე სამტრედიის პროკურორი გახდა.

როგორც დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში აცხადებენ, საკადრო როტაციები სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც განხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

## საგადასახადო კონტროლისთვის ხელის შეშლაზე ჯარიმა ორმაგდება

ნებისმიერი ფორმით საგადასახადო კონტროლისთვის ხელის შეშლაზე პასუხისმგებლობა მკაცრდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება "საგადასახდო კოდექსში" შედის, რომლის განხილვაც პარლამენტში მიმდინარეობს.

კოდექსის მოქმედი რედაქციით, სანქცია ვრცელდება მხოლოდ დათვალიერების პროცედურის ხელის შეშლაზე და ჯარიმა 100 ლარს შეადგენს.

კერძოდ, ისჯება მხოლოდ გადასახადის გადამხდელის ან/და საგადასახადო აგენტის მიერ, საგადასახდო ორგანოს თანამდებობის პირისთვის გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ტერიტორიების და შენობა-ნაგებობების დათვალიერების ხელის შეშლა.

ცვლილების შედეგად კი, პასუხისმგებლობა წესდება საგადასახადო კონტროლის ასევე სხვა ფორმების განხორციელებისას გადამხდელის მიერ საგადასახდო ინსპექციის უფლებამოსილი თანამდებობის პირისთვის ხელის შეშლაზეც, ჯარიმის ოდენობა კი 200 ლარი გახდება.

ამასთან, ჯარიმა წესდება საგადასახადო სამართლადარღვევის გამოვლენიდან თორმეტი თვის განმავლობაში ჩადენილ განმეორებით ქმედებაზე. ასეთ შემთხვევაში ჯარიმა ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1000 ლარი იქნება. **ინტერპრესნიუსი**

# რუსი ოლიგარქები ფინანსური კრიზისის წინაშე

*რუსეთის ყველაზე მსხვილ საქმოსნებს ფინანსური იმპერიები შეერყათ. ეს ყოველივე შესაძლოა საყოველთაო კრიზისის პრელუდია იყოს. რუს მილიარდერებს რთული დღეები დაუდგათ. მაისის თვეს მიღწეული პიკის შემდეგ, მოსკოვის ბირჟამ 77 პროცენტით "ჩაყვინთა", რამაც უკანასკნელ წლებში დაგროვილი სიმდიდრეების მკვეთრი შემცირება გამოიწვია.*



*ოლეგ დერიპასკა*

**"კრიზისმა პრაქტიკულად ყველა პოზიციები შეანჯღრია,"** - ამბობს ოლეგ ანისიმოვი, ჟურნალ "ფაინანსის" რედაქტორი, რომელიც ყოველწლიურად 500 უმდიდრესი პიროვნების სიას აქვეყნებს. ამჯერად ყველაზე მდიდრებს ყველაზე მწარედ მოხვდათ: რუსი მილიარდერების სიაში უპირველესი სახელები - ოლეგ დერიპასკა, რომან აბრამოვიჩი, ვლადიმირ ლისინი და ვლადიმირ პოტანინი (რომლებიც "ფაინანსის" კლასიფიკაციაში პირველი, მეორე, მესამე და მეექვსე ადგილებზე იყვნენ და რომელთა პირადი ქონება, დაახლოებით, 32-დან 16-მდე მილიარდ ევროს შორისაა) ის ხალხია, ვისაც კრიზისი პირველებს შეეხოთ. "ყველაზე ფრთხილები ამჯერად ყველაზე გაბედულების ადგილს დაიკავებენ, რომლებიც უკანასკნელ წლებში ბიზნესს უფრო აგრესიულად მართავდნენ," - წინასწარმეტყველებს ოლეგ ანისიმოვი. მისი აზრით, კრიზისიდან პოტენციურად უმტკივნეულოდ გამომსვლელები შესაძლოა იყვნენ მიხაილ პროხოროვი და სულეიმან კერიმოვი, რომლებსაც გაყიდეს რა თავიანთი ძირითადი აქტივები რუსეთში კრიზისის დაწყებამდე, შესაშური ინტუიცია აღმოაჩნდათ.

**"ყველაზე რთულ მდგომარეობაში სანავთობო და მეტალურგიული კომპანიების მეპატრონეები აღმოჩნდნენ, ამ სფეროებში ფასების სწრაფი ვარდნის გამო,"** - ამბობს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკონომიკური გათვლების სპეციალისტი იაკოვ პაპე. შემდეგ მოდიან მსხვილი დისტრიბუტორები, რომელთა მდგომარეობა კრედიტების შემცირების შედეგად გაუარესდა. დაბოლოს, დაზარალდნენ ისინი, ვინც მსხვილი სესხები აიღეს საზღვარგარეთ თავიანთი კომპანიების აქციების დაგირავებით. ეს პირველ რიგში ეხება ოლეგ დერიპასკას ჯგუფებს "ბაზელსა" და "ალფას" (მიხაილ ფრიდმანის მიერ დაარსებული კონგლომერატი, რომელიც აერთიანებს სანავთობო, საბანკო, სადისტრიბუციო და სატელეკომუნიკაციო სფეროებს).

ეკონომიკური და საბირჟო მაჩვენებლებით (+7 პროცენტი ყოველწლიური ეკონომიკური ზრდა და ბირჟის 94 პროცენტიანი მაჩვენებელი 2001-2008 წლების განმავლობაში) გათამამებულმა რუსმა ბიზნესმენებმა ირწმუნეს, რომ შეუძლიათ თავიანთი საქმიანობის ექსპანსია საკუთარი კომპანიების აქციების დაგირავების საფასურად მსხვილი კრედიტების მოძიებით. ისინი ბირჟის ვარდნასთან ერთად ცნობილი "margin call"-ის სიტუაციაში აღმოჩნდნენ, როდესაც კრედიტორები ითხოვენ დამატებით დეპოზიტებს აქციების ვარდნის კომპენსაციისთვის. ნაღდი ფულის არარსებობის შემთხვევაში კრედიტორები ითხოვენ აქციების გაყიდვას, რაც კურსის დაქვეითებას იწვევს. ეს ის არის, რაც შეემთხვა ოლეგ დერიპასკას და/ან მიხაილ ფრიდმანს: "დოიჩე ბანკი"სატელეფონო ოპერატორ "ვიმპელკომში"თავისი კუთვნილი წილის დაუფლებით იმუქრება, რომელიც 1,5 მილიარდი ევროს კრედიტის გირაოდ განიხილებოდა.

რუსეთის უმსხვილესი ოლიგარქების დაზარალება შესაძლოა მზარდი კრიზისის მხოლოდ პრელუდია იყოს. ქვეყნის ყველაზე მსხვილი კომპანიები ამჟამად თავიანთ გეგმების გადასინჯვით არიან დაკავებულნი და საინვესტიციო საქმიანობაზე უარს ამბობენ. მსხვილი საინვესტიციო ბანკები "ტროიკა დიალოგი" და "რენესანს კაპიტალი" თითქმის ანახევრებენ მომსახურე პერსონალს. მსხვილი მეტალურგიული კომბინატები ამცირებენ პროდუქციის მოცულობას და ხალხს სამსახურიდან ითხოვენ. საავტომობილო ინდუსტრია და მსხვილი სადისტრიბუციო ქსელები სამომხმარებლო კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ. რუსი ოლიგარქების "გაკოტრება" შესაძლოა მალე მილიონობით რუსის დაქცევის საწინდარი გახდეს.

**რომან აბრამოვიჩი - მან 16 მილიარდი დაკარგა და... თავისი ქორწილი გადადო**

მძიმე დრო დაუდგა რუსეთის ყველაზე სახელოვან self-made-man-ს. ადგილობრივი პრესის დაანგარიშებით, აქციათა პაკეტის გაუფასურების გამო, უკანასკნელ თვეებში მისი პირადი ქონება 16 მილიარდი ევროთი შემცირდა.

მაისიდან ნოემბრამდე მეტალურგიულმა კომბინატმა "ევრაზმა", რომლის 36 პროცენტს აბრამოვიჩი აკონტროლებს, საბირჟო ღირებულების 80 პროცენტზე მეტი დაკარგა. ოქროს საბადოების ფირმა "ჰაილენდ გოლდის" აქციები, რომლის 32 პროცენტსაც აბრამოვიჩი განაგებს, მარტიდან მოყოლებული ასევე 80 პროცენტით გაუფასურდა. **"ეს დანაკარგები მხოლოდ ქაღალდზე აღინიშნება,"** - გვარწმუნებს კომპანიის პორტ-პაროლი ჯონ მენი. მისი თქმით, დანაკარგები მხოლოდ მაშინ დაკონკრეტდება თუკი ოლიგარქი თავის წილს გაყიდის, რასაც ის არ აპირებს. მაგრამ, ამავე დროს ლონდონის საფეხბურთო კლუბი "ჩელსი", რომელიც აბრამოვიჩმა 2003 წელს შეიძინა, ბიუჯეტის შეკვეცის პოლიტიკას ახორციელებს. **"ფინანსურმა კრიზისმა აბრამოვიჩი აიძულა, საბიუჯეტო პოლიტიკა დაემუხრუჭებინა. მან მკვეთრი შემცირებები მოგვთხოვა,"** - აღნიშნავს კლუბის სპორტული დირექტორი დანიელი ფრენკ არნესენი. რუსეთის ყვითელ პრესას თუ ვერწმუნებით, ფინანსურმა სირთულეებმა ოლიგარქი აიძულა, გადაედო თავისი ქორწინება ახალგაზრდა საცოლე დარია ჟუკოვასთან: **"ახლა ზეიმის დრო არ არის,"** - თითქოს უთქვამს აბრამოვიჩს.



*რომან აბრამოვიჩი*

**ოლეგ დერიპასკა - იძულებულია, კრემლს "ქეშისთვის" ემათხოვროს**

"ფორბსის" აპრილის თვის კლასიფიკაციაში 22 მილიარდი ევროს მფლობელი დერიპასკა რუსეთის უმდიდრეს პიროვნებად მოიხსენიებოდა. უკანასკნელი ცნობებით, მან 13 მილიარდი ევრო დაკარგა და შესაბამისად, მისი ქონება 9-10 მილიარდს "იწონის". ის ვეღარ მალავს საკუთარ წარუმატებლობებს. ოქტომბრის დასაწყისში დერიპასკას 2007 წლის სექტემბერში შეძენილი კანადური საავტომობილო ეკიპირების გიგანტ "მაგნას" სააქციო პაკეტის დათმობა მოუხდა. იმ დროს ამ ინვესტირებას მიესალმნენ როგორც საზღვარგარეთ რუსეთის ბიზნესის ტრიუმფალური ექსპანსიის დასაწყისს. ერთი წლის შემდეგ "მაგნას" აქციები "თოვლივით დადნა" და დერიპასკას თავისი აქციების კრედიტორებისთვის დათმობა მოუხდა. ოქტომბერში იგი ასევე იძულებული გახდა, 2007 წელს ნაყიდი გერმანული სამშენებლო ფირმა "ჰოხტიფის" 10 პროცენტი "კომერცბანკისთვის" დაეთმო.

ალუმინიუმის "მეფე", მსოფლიოს ნომერ პირველ კომპანია "რუსალის" მეპატრონე, ამჟამად იძულებულია, კრემლს დახმარება სთხოვოს, რათა უკანასკნელი სტრატეგიული ინვესტიციები - საზოგადოება "ნორილსკ ნიკელში" თავისი კუთვნილი 25 პროცენტი შეინარჩუნოს. გასულ გაზაფხულს დერიპასკამ "ნორილსკის" 25 პროცენტის გამოსასყიდად მიხაილ პროხოროვს 12 მილიარდი ევრო გადაუხადა. მას შემდეგ პაკეტის ღირებულება ხუთჯერ შემცირდა. დერიპასკას ჯერჯერობით მხოლოდ რეჟიმისადმი ერთგულება შველის: კრემლმა მას ცოტა ხნის წინ 3 მილიარდი ევრო ასესხა ანუ რუსეთის ეკონომიკის გადარჩენის გეგმიდან გამომდინარე ყველაზე მსხვილი კრედიტი.

**ვლადიმირ ლისინი - მას ამერიკული ჯუფი "კარლაილი" სასამართლოში უჩივის**

მიზანში სროლის მოკრძალებულ მოყვარულს საბირჟო კრახის უპირველესი "პრიზი" ეკუთვნის. თითქმის მის სრულ მფლობელობაში მყოფ მეტალურგიულ კომბინატ "ნოვოლიპეცკის" კურსის დაცემასთან ერთად, მან რამდენიმე თვეში ქაღალდზე 17,5 მილიარდი ევრო დაკარგა. მას ჟურნალი "ფორბსი" აპრილში 18,3 მილიარდი ევროს მფლობელად განიხილავდა.

შესაბამისად, "ნოვოლიპეცკის" მფლობელს უარის თქმა მოუხდა ფოლადის მილების ამერიკულ გიგანტ "ჯონ მენილის" შეძენაზე, რის შესახებაც გასულ აგვისტოს იყო შეთანხმებული. კონტრაქტის წამგებიანი ანულირებისთვის ლისინს ნიუ-იორკის სასამართლოში ჯუფი "კარლაილი" უჩივის, რომელმაც მონაწილეობა მიიღო "ნოვოლიპეცკთან" კონტრაქტის დადებაში. "ნოვოლიპეცკმა" უკეთესი დღეების მოლოდინში ხუთიდან სამი ღუმელი გააუქმა, რაც განსაკუთრებული ზომების მიღებაა. ამის საფასური კი ასევე მილიონობით ევროა.

**მიხაილ პროხოროვი - მან კატასტროფას რამდენიმე თვით დაასწრო**

იგი საფრანგეთში, უპირველეს ყოვლისა, 2007 წლის იანვარში სათხილამურო კურორტ კურშაველში მოწყობილი ცელქობებით არის ცნობილი, როდესაც პოლიციის კომისარიატში ამოყო თავი. სამართალდამცველები დაინტერესდნენ ლამაზი გოგოების უპრეცედენტო რაოდენობით, რომლებიც ოლიგარქს ახლდნენ. მაგრამ დღევანდელ რუსეთში მიხაილ პროხოროვი ყველაზე უფრო ეშმაკ და წინდახედულ ადამიანად მოიაზრება, რომელმაც სხვებზე ადრე იგრძნო კრიზისის მოახლოება და "ქეშის" საკმაო რაოდენობაც გადაინახა. აპრილში, ნიკელზე კურსის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, მან "ნორილსკ ნიკელში" თავისი კუთვნილი 25 პროცენტი მიჰყიდა გაბითურებულ დერიპასკას.

გაზეთების "ვედომოსტისა" და "კომერსანტის" თანახმად, პროხოროვმა გაინაღდა 5,5 მილიარდი ევრო, რაც მომავალში საინტერესო შენაძენების გაკეთების საშუალებას მისცემს. სექტემბერში ახალგაზრდა მილიარდერმა ("ფორბსის" უკანასკნელი კლასიფიკაციის მიხედვით მეხუთე ადგილზე) უკვე შეძლო ბანკ "რენესანს კაპიტალის" 50 პროცენტის შეძენა 400 მილიონ ევროდ ანუ საოცრად იაფად. **"კრიზისის პერიოდები ასევე არის დიდი შესაძლებლობების პერიოდები,"** - ტრიუმფით აცხადებს ახალგაზრდა დონ ჟუანი.

**ვლადიმირ პოტანინი - აქციების დროულად გაყიდვით გადაირჩინა თავი**

ნაღდ ფულზე ნადირობისას პოტანინი გასული საუკუნის 90-იანი წლების ყველაზე რისკიან მეთოდებს დაუბრუნდა. "ნორილსკ ნიკელმა" მაისიდან მოყოლებული ღირებულების 70 პროცენტი დაკარგა მისი მეპატრონე პოტანინი (იგი ყველაზე მსხვილი სააქციო პაკეტის, დაახლოებით, 30 პროცენტის მფლობელია) უკანასკნელ დროს ნაღდი ფულის მოპოვების მანევრებით არის გართული. ის აგვისტოში "ნორილსკის" აქციების ნამდვილ ღირებულებაზე სამჯერ უფრო ძვირად შესყიდვის ინიციატორი იყო. შესაბამისად, მან 800 მილიონ ევროზე მეტი მოიპოვა, დაცალა რა ერთდროულად თავისი საზოგადოების ხაზინა.

ოქტომბრის ბოლოს "ნორილსკმა" პოტანინს თითო აქციის შეძენა 178 ევროდ შესთავაზა, მაშინ როდესაც რეალური ფასი 57 ევრო იყო. იმავე ხერხით, ოლიგარქმა შეძლო, "ნორილსკის" ფილიალი "რაშა პეტროლეუმი" ენერგოჯგუფ "OGK 3"-სთვის მიეყიდა გაბერილ ფასში - 480 მილიონ ევროდ, მაშინ როდესაც ეს კომპანია საუკეთესო დროშიც კი ამ ფასის ნახევარიც არ ღირდა. **"კრიზისი რჩეულთათვის თვითგადარჩენის გამოცდაა - ზოგი გადარჩება, ზოგიც ვერა,"** - აცხადებდა პოტანინი 1998 წლის კრიზისის დროს. ათი წლის შემდეგ ეს სიბრძნე კვლავ ძალაშია, პირველ რიგში კი - მისთვის.

***"ლიბერასიონი"***

# რევიუ



AFP ' 2008

*5 დეკემბერს, პარიზში, კონკრეტულად კი "პალე რუაიალში" თანამედროვე სკულპტურის გამოფენა გაიხსნა. ყველაზე დიდი ყურადღება ოივიე ესტამპის სკულპტურულმა ანსამბლმა დაიმსახურა. ამ მოქანდაკემ მთელი ხეივანი აავსო, თანაც აავსო მგლებით. მგლები რომლებიც გარბიან, მგლები, რომლებიც ყმუიან. გამოფენა რამდენიმე დღეს გასტან, ასე რომ, პარიზელებს სიმშვიდე რამდენიმე ხანს კიდევ არ დაუბრუნდებათ. შუაგულ ქალაქში ხომ მგლები დარბიან...*

## "გრემის" პრემიის ნომინანტები დაასახელეს

წლევანდელი პრემიის - "გრემი" ნომინანტებს შორის ლიდერი ამერიკელი რეპერი ლილ უეინი გახდა. პრემიაზე დაწინაურდა რუსეთის ორკესტრი (ვალერი გერგიევის ხელმძღვანელობით) და იური ბაშმეტი (ალტი).

ამ პრესტიჟულ მუსიკალურ პრემიაზე ლილ უეინი ერთდროულად რვა კატეგორიაში იყო ნომინირებული, მათ შორის - "წლის ალბომის" ფირფიტისათვის "The Carter III".

ნომინაციების რაოდენობით უეინს ბრიტანული ჯგუფი "Coldplay" ჩამორჩება, რომელსაც ეძლევა შანსი პრემია ერთდროულად შვიდ კატეგორიაში მიიღოს. აღსანიშნავია, რომ "Coldplay" მისი უკანასკნელი ნაშრომისათვის, სახელწოდებით "Viva La Vida", ისეთ ნომინაციებზეა წარდგენილი, როგორებიცაა: "წლის ჩანაწერი" და "წლის ალბომი".

"გრემის" პრემიაზე წლის საუკეთესო ალბომისათვის მებრძოლ არტისტებს შორისაა ცნობილი ჯგუფი "Radiohead", რომელმაც ამ წელს დისკი "In Raibows" გამოუშვა.

ნომინაციაში - "საუკეთესო საოპერო ჩანაწერი" "გრემი", შესაძლოა, ჩაიკოვსკის "ევგენი ონეგინის" ჩანაწერს მიენიჭოს. ორკესტრს ვალერი გერგიევი ხელმძღვანელობდა, შემსრულებლებს შორის კი, რუსი მომღერალი დიმიტრი ხვოროსტოვსკი იყო.

მეორე რუსი მუსიკოსი, რომელიც "გრემის" პრემიის ნომინანტებს შორის მოხვდა, დირიჟორი და ალტი - იური ბაშმეტია. ის, სხვა მუსიკოსებთან და დირიჟორ რომან ბალაშოვთან ერთად, "გრემის" პრემიაზე "მცირე ანსამბლის შემადგენლობაში საუკეთესო გამოსვლისათვის" არის წარდგენილი. თავად ბაშმეტმა ამ ნომინაციას "სასაცილო და დაუჯერებელი" უწოდა.

"მე, ცხადია, მოხარული და ბედნიერი ვარ იმის გამო, "გრემის" პრემიაზე ვარ წარდგენილი, თუმცა, იმ შემთხვევაში თუ მას არ მივიღებ, გული დიდად არ დამწყდება", - აცხადებს ბაშმეტი.

პრემიაზე ნომინირებულთა სიაში მადონაც მოხვდა, მაგრამ არა ყველაზე პრესტიჟულ კატეგორიებში.

პოპ-ვარსკვლავის სახელი ფიგურირებს ნომინაციებში - "საუკეთესო თანამედროვე პოპ-შემსრულებელი" (მადონამ ეს ჯილდო შესაძლოა მიიღოს კომპოზიციისათცის "4 Minutes", რომელსაც ჯასტინ ტიმბერლეიკთან ერთად ასრულებს) და "საუკეთესო საცეკვაო ჩანაწერი" (მომღერლის უკანასკნელ ალბომში - "Hard Candy" შესულ სიმღერისათვის "Give it 2 me").



ლეგენდარული ექს-ბიტლი, პოლ მაკარეტნი "გრემის" პრემიაზე კატეგორიაში "საუკეთესო სოლო პოპ-ჩანაწერი" სიმღერისათვის "That Was Me" არის წარდგენილი.

პრემიის არსებობის ისტორიაში პირველად "გრემი 2009"-ის ნომინანტები კონცერტის მსვლელობისას, ამერიკული ტელევიზიების პირდაპირი ეთერით გამოაცხადეს. კონცერტში მონაწილეობდნენ სელინ დიონი, ქრისტინა აგილერა და ჯონ მეიერი, რომელიც დუეტს ბლუზის ვეტერანთან, ბი ბი კინგთან ერთად ასრულებდა.

"გრემის" ორგანიზატორები ეძებენ საშუალებას იმისათვის, რომ პრემიის პოპულარობა გაზარდოს: გასულ წელს დაჯილდოების ცერემენიალის ტრანსლირებას მხოლოდ 17,5 მილიონი მაყურებელი ადევნებდა თვალს, რაც შოუს ისტორიაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ერთი წლის წინათ "გრემის" ფავორიტი იყო ბრიტანელი მომღერალი ქალი ემი უაინჰაუსი, რომელიც პრემიის ყველაზე პრესტიჟულ კატეგორიებში - წლის საუკეთესო ჩანაწერი, ალბომი და სიმღერა, იყო ნომინირებული.

# პილიგრიმობა ქართულად

ბელა ჩეკურიშვილი

მართალია, დღეს ხელჯოხიანი პილიგრიმები ქვეყნიდან ქვეყანაში ფეხით აღარ მოგზაურობენ, მაგრამ წმინდა ადგილების მოსალოცად სიარული ისევ აქტუალურია. დღეს მას რელიგიური ტურიზმი ჰქვია და თანდათან საქართველოშიც პოპულარული ხდება. ეს ეხება როგორ შიდა ტურიზმს, ასევე ქართველების რელიგიურ ტურებს წმინდა მიწაზე, ტაოკლარჯეთსა თუ კაპადოკიაში. როგორც ტურისტული სააგენტოები ამბობენ, ასევე დაიწყო უცხოელი ტურისტების დაინტერესება ქართული წმინდა ადგილებით.

დღეს ჩვენთან ერთ-ერთი პოპულარული რელიგიური ტურია ასურელ მამათა საფლავების მონახულება და როგორც გვირჩევენ, ამ საქმისთვის საუკეთესო დრო შემოდგომაა.

საქართველოს გაქრისტიანებაში წმიდა ნინოს შემდეგ დიდი წვლილი 13 ასურელ მამას მიუძღვის, რომლებიც წმიდანებად არიან შერაცხულნი. მათი საფლავები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია. 13 ასურელი მამის სახელთან მრავალი სასწაულია დაკავშირებული, როგორც მათი მოღვაწეობის დროინდელი, ისე თანამედროვე, რაც წმიდა მამების საფლავზე ხდება.

ასურელი მამები, საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი, VI საუკუნეში მოსულა საქართველოში სირიიდან. წყაროებში იხსენიებიან "ათორმეტი" ან "ათსამმეტი ასურელი მამანი". სინამდვილეში ისინი მეტნი იყვნენ და რიცხვი 12-13, როგორც ჩანს, საკრალური მნიშვნელობით არის აღებული.

ისტორიამ შემოინახა იმ ასურელი მამების სახელები, რომელთა მოღვაწეობამაც თვალსაჩინო კვალი დატოვა. ესენი არიან იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, ისე წილკნელი, სტეფანე ქიზიყელი ანუ ხირსელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი, აგრეთვე პიმენი, ნათანე და იოანე.

როგორც ქართველი პილიგრიმები გვირჩევენ, ასურელი მამების ნაკვალევის მოსანახულებლად 4 დღე მაინცაა საჭირო. შეგიძლიათ, ეს შაბათ-კვირის ტურად აქციოთ, როგორც წესი, უმრავლესობა ასეც აკეთებს ხოლმე.

ერთი დღე დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის სანახავადაა საჭირო, აქ დავით გარეჯელისა და დოდოს საფლავებია. დოდო ასურელი მამა არ არის, იგი კახელი თავადი, გვარად ანდრონიკაშვილი იყო, რომელიც ბერად შედგომის შემდეგ გარეჯელ მამებს შეუერთდა. მან კლდის წვერზე ორასზე მეტი სენაკი ააგო, მოგვიანებით კი ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა. ასე ჩამოყალიბდა გარეჯის კომპლექსის ერთ-ერთი განშტოება - დოდოს რქა.

რასაკვირველია, გარეჯში ჩასულებს მთელი კომპლექსის მონახულების სურვილი გაგიჩნდებათ. აქ სანახავი და ყურადღებამისაქცევი ადგილებია გარეჯის ლავრა - პირველი მონასტერი, რომელიც წმინდა დავით გარეჯელმა. დაარსა. ასევე უდაბნოს კომპლექსი, ჩიჩხიტური, დოდოს რქა. თუ დრო გექნებათ შეგიძლიათ ნათლისმცემელი, თეთრი სენაკები და წამებულიც ნახოთ. რაც შეეხება ბერთუბანს, სადაც თამარის ფრესკაა შემორჩენილი, იგი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა და გარდა იმისა, რომ ერთ დღეში მის ნახვას ვერ მოასწრებთ, არც აზრბაიჯანელი მესაზღვრეები გადაგიშვებენ იქით. ისე კი, დადგენილი საზღვარი არ არსებობს, პირობითი საზღვარი კი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ჩიჩხიტურზე გადის, დიდი შანსია, რომ მათ თქვენი მისვლა არც ჩიჩხიტურთან მოინდომონ, რომელიც ძველისძველი კომპლექსიდან დარჩენილი ლამაზი კოშკია და მეტი არაფერი.

პილიგრიმები ასევე გირჩევენ, რომ უდაბნოში სახეტილაოდ ქუდი და მოსახერხებელი ფეხსაცმელი წაიღოთ, და არაა სასურველი შორტებში და ღია ფეხსაცმლით სიარული, გვალვაში ქვეწარმავლებიაო, ამბობენ. წყალიც ბევრი დაგჭირდებათ. როგორც ბერებმა გვითხრეს - დოდოს რქაზე ასვლისას მგლების და ძაღლების საშიშროება არისო, თუმცა კი, ჩვენ არაფერი შეგხვედრია.

დოდოს რქაზე ასვლისას თუ ყურადღებასა და მოთმინებას მოიკრებთ, კლდის ქვეშ პატარა შესასვლელით შეძვრებით და უზარმაზარ ეკლესიაში აღმოჩნდებით, რომელიც მიწისაგან დღემდე არ გაუსუფთავებიათ და მიწის ფენა ნახევრადაა საკურთხევლამდე ასული.

იმისათვის რომ ბრეთა და ულუმბო ნახოთ, ქართლში მოგიწევთ წასვლა. ერთ დღეში ორივე კომპლექსის ნახვას მოასწრებთ. ბრეთა სოფელ დირბთან ახლოს მდებარეობს, სწორედ, იქ, ომის ქარცეცხლი რომ ტრიალებდა, ამიტომ იქ მისვლას ახლა როგორ მოახერხებთ არ ვიცი. ულუმბოსკენ კი გომიდან უნდა გადაუხვიოთ და დაახლოებით 5 კმ-ი ფეხით იაროთ. იმედია, ეს რეგიონი მალე დამშვიდდება და ამ მარშრუტს კიდევ ბევრი მომლოცველი გაიმეორებს.

წილკანი მცხეთასთან ახლოს მდებარეობს, იქვე მეუფის რეზიდენციაცაა, ზედაზენზე ასასვლელად კი სჯობს ჯიპი აირჩიოთ, ერთხიდიან მანქანებს აშკარად უჭირთ, არც ფეხით ასვლაა ძნელი, საგურამოდან დაახლოებით 8 კილომეტრია სავალი, რაც, უბრალოდ, დროის ამბავია. ზედაზენზე მოქმედი მონასტერი დაგხვდებათ და კიდევ ხედი, ცნობილი ხედი, საიდანაც მცხეთაც მოსჩანს და თბილისიც. თქვენ ხომ ზღვის დონიდან 1350 კილომეტრზე ხართ! აბა ტყულიად ხომ არ იდგა აქ ცნობილი ზადენის კერპი -ზედა ზადენი, რომელიც მთელ ქართლს გადაჰყურებდა. ზედაზენის მონასტერი რამდენჯერმეა გადაკეთებული, და ასეა ბევრ ადგილას, ასურელი მამების აგებულ ეკლესიების საძირკველზე ახალ-ახალი ტაძრები შენდებოდა, ამის მაგალითია ქაშვეთი, თბილისში.

ზედაზენზე სამონასტრო ნაგებობათაგან დღეისათვის შემორჩენილია ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც VIII საუკუნის დასასრულს ააშენეს ადრინდელი დარბაზული ეკლესიის ადგილას. იოანე ზედაზნელის ქვის კუბო, რომელიც XVII საუკუნეში უნდა იყოს გაკეთებული, "პატიოსანი ლუსკუმა", ერთი მესამედით საკურთხეველშია შეჭრილი. აქ დაგხვდებათ წყაროც, რომელიც იოანე ზედაზნელის ლოცვით აღმოცენდა.

სამთავისი კი, სადაც ისიდორე სამთავნელის საფლავია, იმიტომაც უნდა ნახოთ, რომ ქართული ჩუქურთმის საიდუმლოს ეზიაროთ. დადგეთ და იტიროთ. აქ აღმოსავლეთის კედელთან უცხოელებიც ტრიან ხოლმე. ტაძრის აღმშენებელი ყოფილა ილარიონ ძე ვაჩე ყანჩაელისა, სამთავნელი ეპისკოპოსი, რომელიც მოხსენიებულია აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში. ძეგლის აშენების თარიღია 1030 წელი.

სამთავისი გამოირჩევა პროპორციათა ჰარმონიულობით და ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით. რომელიც საფუძვლად დაედო ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას. სამთავისის აღმოსავლეთის ფასადის დეკორატიულ დამუშავების გავლენას დიდხანს განიცდიდა ქართული ხუროთმოძღვრება. ტაძარს გარს ერტყმის გალავანი, რომლის შიგნით ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევებია. სამრეკლო, როგორც ჩანს, XVII საუკუნეშია აგებული.

შიომღვიმემდეც მანქანა მიგიყვანთ, აქ შიოს საფლავსაც ნახავთ, მის მიერ აგებულ ნათლისმცემლის ეკლესიასაც, წყაროსაც, რომლიც უფლის ნებით აღმოცენდა, და რა თქმა უნდა, ჭასაც, სადაც წმინდა შიომ 15 წელი გაატარა. წმინდანმა იგი საკუთარი ხელით ამოთხარა და ყოველგვარ სინათლეს მოკლებული იყო, საკვები კი მისთვის მტრედს მიჰქონდა. ასეთივე



მობილიზებით ერთ დღეში კახეთსაც მოინახულებთ, თბილისიდან ჯერ მარტყოფში ახვალთ, აქვეა და სამანქანე გზა ადის, მერე კი იყალთოს, ალავერდს, ნეკრესსა და ხირსას ეწვევით.

როდესაც წმიდა იოანე ზედაზნელმა თავისი მოწაფეები გაგზავნა საქადაგებლად, მამა ანტონი კახეთში წავიდა, მას თან ჰქონდა გულზე დაკიდებული ერთი აგური, რომელზედაც იესო ქრისტეს ხელთუქმნელი სახე იყო გამოხატული და ამ ხატის ძალით ის მრავალ სასწაულს ახდენდა. თუ შიო მღვიმეში წმინდანის ჭის ნახვა გელით, მარტყოფში ანტონ მარტომყოფელის სვეტი ანუ კოშკი განგაცვიფრებთ, რომელიც მან მთის წვერზე აიშენა და იქ დაეყუდა. გარდაცვალების შემდეგ იგი სვეტიდან ჩამოასვენეს და ტაძარში, ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაკრძალეს. დღეს მარტყოფში მოქმედი ეკლესიებია: მთავარანგელოზის, სამების, აპარანის, მამათა და დედათა მონასტრები.

ალავერდის ტაძარს კი პოეტები გედს ადარებენ, რომელსაც გუმბათის ყელი გამორჩეულად მართლაც ყველაზე მაღალი აქვს და კახეთის დაცემულ ველზე თეთრად ქათქათებს. დამოუკიდებლად მოგხიბლავთ მისი გალავანი და დიდხანს, დიდხანს იდგებით იოსებ ალავერდელის საფლავის წინ.

ეს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარია, სადაც სამონასტრო კომპლექსი და ალავერდის ეპარქიის ცენტრია. მონასტერი VI საუკუნის შუა ხანებში დააარსა იოსებ ალავერდელმა. XI საუკუნის დასაწყისში კი კვირიკე კახთა მეფემ ალავერდის წმ. გიორგის პატარა ეკლესიის ადგილას ააგო საკათედრო ტაძარი, რომელიც უმთავრესად ალავერდის სახელწოდებითაა ცნობილი.

ალავერდის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში, გაერთიანებულია სხვადასხვა დროის ნაგებობები: პალატი, 1615 წლის ახლო პერიოდში აგებული ფეიქარ-ხანის აგურის სასახლე და სხვა საცხოვრებელი ნაგებობები, აგრეთვე აბანო, მარანი, სამრეკლო და სხვა.

იყალთოს სამონასტრო კომპლექსი თელავის ჩრდილოეთით, 7-8 კმ-ზე მდებარეობს, იგი ზენონმა დააარსა VI საუკუნეში. იყალთო ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერადაა ცნობილი. გადმოცემის თანახმად, არსენ იყალთოელს XI საუკუნეში აქ აკადემია დაუარსებია. აქ მამა ზენონის საფლავთაან ერათად არსენ იყალთოელის საფლავსაც ნახავთ.

სამონასტრო კომპლექსიდან შემოჩერნილია 3 ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა, მათ შორის აკადემიისა და სატრაპეზოს ნანგრევები. ეკლესიათაგან მთავარია VIII-IX საუკუნეების ფერისცვალების ეკლესია "ღვთაება" , რომელიც აგებულია იმ ძველი ეკლესიის ადგილას, სადაც მამა ზენონი დაკრძალეს.

იყალთოში აკადემიის შენობის ნაშთებსაც იხილავთ, რომელიც სტილით VIII-IX საუკუნეების ფეოდალურ სასახლეებს ენათესავება და აგებულიც მაშინ უნდა იყოს. აქაურები სიამაყით გეტყვიან, რომ იყალთოს აკადემიაში შოთა რუსთაველი სწავლობდა.

მართალია, აბიბოს ნეკრესელის საფლავი ნეკრესში არ არის, მაგრამ მომლოცველები აქ მისი ღვაწლის სანახავად მაინც ადიან ხოლმე. ეს ისტორიული ქალაქი ახლანდელ ყვარლის რაიონში მდებარეობს, სოფ. შილდის მახლობლად, მთის ფერდობზე. ნეკრესში ასასვლელად ჯიპი აიყვანეთ, ან რომელიმე ორხიდიანი მანქანა, ეს როცა დროის პრობლემა გაქვთ, თორემ ფეხით ამ გზის ავლას ერთი საათი თავისუფლად ჰყოფნის. და მერე, როცა ალაზნის ველი ხელისგულზე გადაგეშლებათ, მიხვდებით, რატომ დაარსა აქ ქალაქი მეფე ფარნაჯომმა ძვ. წ. II-I სს-ებში, ხოლო IV საუკუნეში მეფე თრდატმა აქ ეკლესია ააგო.

VI საუკუნეში ნეკრესში დამკვიდრდა ერთი ასურელი მამათგანი - აბიბოსი. მის დროს დაარსდა ნეკრესის საეპისკოპოსო, რომელმაც XIX საუკუნემდე იარსება. ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლს აერთიანებს, რომელთაგან IV საუკუნის II ნახევრის მცირე ზომის ბაზილიკა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში დღემდე მოღწეულ ეკლესიათაგან. დიდი სამეკლესიანი ბაზილიკა VII საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. აქ ნახავთ VIII-IX საუკუნების გუმბათოვან ეკლესიასაც და ეპისკოპოსის ორსართულიანი სასახლის ნანგრევებს, რომლისთვისაც XIV საუკუნეში კოშკი მიუშენებით.

კახეთში ჩასულები ხისრასაც ეწვიეთ. ეს ქიზიყშია, წნორთან, სადაც მამა სტეფანე ხირსელის საფლავს ნახავთ. აქ გუმბათოვანი ტაძარი დაგხვდებათ, რომელიც VI საუკუნის ბაზილიკის ადგილზეა აგებული და მრავალჯერაა გადაკეთებული. ეს ეკლესია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ნახევრად მიწაში იყო ჩაფლული. შემდეგ გაიწმინდა და რესტავრაცია გაუკეთდა. ტაძარში შემორჩენილია სტეფანოზ ხირსელის ფრესკა, რომელიც მისი ხატის სახით გავრცელდა.

ჯერჯერობით დაუდგენელია სად არის თადეოზ სტეფანწმინდელის საფლავი, გვითხრეს, რომ კასპში, მამა იოანე კალატოზიშვილმა სავარაუდოდ მიაგნო ამ საფლავს, თუმცა კი, ჯერ ოფიციალურად დადგენილი არ არის. ასევე არ ვიცით ზუსტად აბიბოს ნეკრესელის ნეშტის ადგილსამყოფელი, როგორც ამბობენ, იგი მცხეთაში, სამთავროს მონასტერშია დაკრძალული. ასევე არაა დადგენილი მიქაელ ულუმბოელის საფლავის მდებარეობაც, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ იგი ულუმბოს მონასტრის ტერიტორიაზე დაუკრძალავთ.

იმ ადგილებში, სადაც ასურელი მამები მოღვაწეობდნენ, დღეს თითქმის ყველგან მონასტერია და წმინდანთა საფლავებსაც მზრუნველი ხელი ეტყობა.

თქვენს პილიგრიმულ მოგზაურობას რაც შეეხება, ნათქვამია, გარეჯში სამჯერ წასვლა იერუსალიმის მოლოცვის ტოლფასიაო. წარმოიდგინეთ, თქვენ 13 ასურელი მამის საფლავი მოილოცეთ და რისი ტოლფასი იქნება, ეს მადლი, თავად განსაზღვრეთ.

ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ



სამთავროს დედათა მონასტერში, ბერი გაბრიელის საფლავზე ღვთის სასწაულით ფეხადგმული ჯაბა მურცხავლაძე ელის თქვენგან თანადგომას.

ჯაბასთვის თითო ლარი შეგიძლიათ გაიღოთ მაგთისა (200-344), ჯეოსელის (700-344), გაერთიანებული ტელეკომის (919-344) და საქართველოს ტელეკომის (822 009-344) სატელეფონო ნომრებზე დარეკვით

დამატებითი ინფორმაციისათვის: ქობულეთი, ციხისძირი
893 906-275

საქველმოქმედო სპეც-ანგარიში: "თი-ბი-სი" ბანკის ცენტრალური ფილიალი კოდი: 220101830; პ/ა 11701022

# ვერცხლის და ოქროს "პრომეთე"

## თბილისის IX საერთაშორისო კინოფესტივალი 9-14 დეკემბერს გაიმართება

ია ვეკუა

ჩვენი ქვეყნის მთავარი კინომოვლენა - თბილისის საერთაშორისო ფესტივალი კალენდარული დაგვიანებითა და შედარებით მოკრძალებული პროგრამით 9 დეკემბერს აიღებს სტარტს. უკვე ცნობილია იმ ფილმების ჩამონათვალი და სტუმრების ვინაობა, რომელთა ნახვის საშუალებაც ოთხი საფესტივალო დღის განმავლობაში გვექნება. ფესტივალის პროგრამა საინტერესო და შინაარსობრივად დატვირთულია, ხოლო ოქროსა და ვერცხლის "პრომეთე" საუკეთესო ფილმს და რეჟისორს ფესტივალის დახურვის დღეს გადაეცემა. მიუხედავად იმისა, რომ წელს სამი ქართული ფილმი გამოვიდა, საკონკურსო ჩვენებაში ვერც ერთი ვერ მოხვდა.

ფესტივალი ტრადიციულად საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და თბილისის მერიის მხარდაჭერით ტარდება, ხოლო ფილმების ჩვენება ასევე ტრადიციულად - "რუსთაველსა" და "ამირანში" გაიმართება. შარშანდელისგან განსხვავებით წელს ქართველი კინომოყვარულები მხოლოდ 56 ფილმს იხილავენ (შეგახსენებთ, რომ შარშან მათი რაოდენობა 100 აჭარბებდა), რაც აგვისტოს მოვლენებითაა განპირობებული - შეზღუდულია ფესტივალის ბიუჯეტი. თუმცა მიუხედავად ამისა, პროგრამა მაინც საინტერესო გამოვიდა, ხოლო საკონკურსო პროგრამით გათვალისწინებული ფილმების გარდა მაყურებელი სპეციალური პროგრამების ფილმებსაც ნახავს.

ვინ გახდება ოქროსა და ვერცხლის "პრომეთეს" მფლობელი, ამის გადაწყვეტის მისია წელსაც საერთაშორისო ჟიურის დაეკისრება, რომლის შემადგენლობაში იქნებიან: ლანა ღოღობერიძე (ჟიურის თავმჯდომარე), ბრიტანელი რეჟისორი ჯო რაითი, ფლორენციის საერთაშორისო კინოფესტივალის Intercity-ს დირექტორი მიქელე პანელე, გერმანელი პროდიუსერი რობერტ სმაიგერტი და კანის



*კადრი ბაკურ ბაკურაძის ფილმიდან "შულტესი"*

ფესტივალის პროგრამის Tous Les Cinemas du Monde-ს ხელმძღვანელი 2004-2007 წლებში სერჟ სობჟინსკი.

ფესტივალი სწორედ ჟიურის წევრის, ჯო რაითის ფილმით "სინანულით" გაიხსნება. შეგახსენებთ, რომ ეს ფილმი შარშან "ოსკარზე" საუკეთესო ფილმის ნომინაციაში იყო წარდგენილი, ხოლო მანამდე "ოქროს გლობუსისა" და ბრიტანული კინოაკადემიის ჯილდოების მოპოვება შეძლო. ფილმში მთავარ როლებს კირა ნაიტლი, ჯეიმს მაკავოი და ვანესა რედგრეივი ასრულებენ და პირველი მსოფლიო ომის ფონზე განვითარებულ ტრაგიკულ სასიყვარულო ისტორიაზე მოგვითხრობს. ფესტივალის არასაკონკურსო ჩვენებით ჯო რაიტის კიდევ ერთი ფილმის ჩვენებაა დაგეგმილი - 2005 წელს გადაღებული "სიამაყე და ცრურწმენა" იმავე კირა ნაიტლისა და მეტიუ მაკფადიენის მონაწილეობით.

საკონკურსო ფილმების ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება: "მლაშე ჰაერი" (იტალია), "შესწორება" (საბერძნეთი), "მონადირე ძაღლები" (გერმანია), "სიყვარული და სხვა დანაშაულები" (გერმანიის, საბერძნეთის, ავსტრიისა და სლოვენიის ერთობლივი ნამუშევარი), "გამომძიებელი" (უნგრეთი), "ქალთევზა" (რუსეთი), "შულტესი (რუსეთი), შემოდგომა" (თურქეთი, გერმანია), "ოთხშაბათი, ხუთშაბათის დილა" (პოლონეთი) და "ვერსალი" (საფრანგეთი).

გაცილებით მრავალფეროვანი და არანაკლებ საინტერესოა ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა. ტრადიციულად ამ პროგრამის შემადგენელი ნაწილია გოეთეს ინსტიტუტის მიერ მომზადებული სექცია Made in Germany. ამჯერად გერმანული კინო სამი დოკუმენტური და ხუთი მხატვრული ფილმითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით საინტერესოა ფატიჰ აკინის 2007 წელს გადაღებული "მეორე მხარეს" ჰანა შიგულათი მთვარ როლში. ასევე მნიშვნელოვანი ფილმია ფაიტ ჰელმერის "აბსურდისტანი", რომლის გადაღებაშიც ქართული შემოქმედებითი ჯგუფიც მონაწილეობდა. ფილმის სიუჟეტი აზერბაიჯანის ერთ სოფელში ვითარდება და საკმაოდ კომიკური ხასიათი აქვს: მამაკაცები უარს ამბობენ ერთადერთი ჭის შეკეთებაზე, რის გამოც მეორე ნახევრებისგან ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულებაზე უარს იღებენ. ამავე პროგრამაშია წარმოდგენილი უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში შარშანდელი "ოსკარის" გამარჯვებული იზიდორ ვიმერის "გამყალბებლები". ფილმში მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დროს ვითარდება. საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრების დახმარებით ფაშისტები დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის დაზარალების მიზნით მილიონობით ყალბ ფულს ბეჭდავენ. ფილმი ქართველმა მაყურებელმა ალბათ უკვე ნახა, თუმცა მისი შთამბეჭდავი სცენების ნახვა დიდ ეკრანზე ალბათ უფრო სასიამოვნო სანახაობა იქნება.

ფესტივალის ფრანგული პროგრამა ერთდროულად რამდენიმე ციკლს გვთავაზობს, მისი კოორდინატორი კი დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრი და საფრანგეთის საელჩოა. ციკლი "ერთად ცხოვრება" ემიგრანტების თემას, მათ ფრანგულ საზოგადოებაში ინტეგრაციას ეხება. მასში წარმოდგენილი ექვსივე ფილმი სწორედ ამ პრობლემას ასახავს და კონკრეტული ადამიანების მაგალითზე გვიჩვენებს ამ ფენის ყოველდღიურ ყოფას. ციკლი "68 წლის მაისი" კი 40 წლის წინ პარიზში განვითარებული ცნობილი მოვლენების დოკუმენტურ ქრონიკას ასახავს. ამ ციკლში სამი დოკუმენტური ფილმი და ერთი მხატვრული - ფილი გარელის "რეგულარული საყვარლებია" წარმოდგენილი.

განსაკუთრებით საინტერესო იქნება ფესტივალის ქართული უხმო ფილმების პროგრამა. საქართველოს კინოკავშირმა იუნესკოს დახმარებით პროექტ "ადრეული ქართული ფილმების ასლების დამზადება მათი შემდგომი კვლევისა და შენახვისთვის" ფარგლებში ოთხი ფილმის ასლი დაამზადა. ესენია: ნიკოლოზ კახიძის "ნორჩი მფრინავი" (1928), ვლადიმერ ბარსკის "არსენა ყაჩაღი" (1923), ალექსანდრე წუწუნავას "ვინ არის დამნაშავე" (1925) და მიხეილ კალატოზიშვილის "ლურსმანი ჩექმაში" (1931). ეს სწორედ ის ფილმებია, რომლებიც თანამედროვე მაყურებელს არ უნახავს, ხოლო კომუნისტურ ეპოქაში ცენზურით იყო აკრძალული.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი 14 დეკემბერს კინოთეატრ "ამირანში" დაიხურება. გამარჯვებულების დაჯილდოვების შემდეგ გაიმართება მიხეილ კალატოზიშვილის 2008 წელს გადაღებული ფილმის "ველური ველის" ჩვენება.

# კენ ლოუჩის თავისუფალი სამყარო

ბრიტანული კინოს კლასიკოსს კენ ლოუჩის ახალი ფილმის "თავისუფალი სამყაროს" მთავარი გმირი ერთი ქერათმიანი ენჯია. ის 33 წლის მარტოხელა დედაა. ბევრს შრომობს რომ ვალებს თავი დააღწიოს. მის პროგრამა მაქსიმუმს წარმოადგენს როგორმე საშუალო ფენაში შეაღწიოს, მაგრამ პრინცესად იოლად ვერ გადაიქცევა. თავიდან ერთ-ერთ სააგენტოში მუშაობს და იმის მიუხედავად, რომ თავისი საქმე ესმის, უეცრად მას ქუჩაში მოისვრიან. მიზეზი თითქმის არ იყო, სულ პატარა და უმნიშვნელო: წინა საღამოს ბარში საკუთარ უფროსს ლუდი შეასხა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა მისი მოალერსება სცადა.

ენჯი დაიღალა, დაიღალა ცუდი სამსახურიდან წამოსვლით და უარესში გადასვლით. დაიღალა იმით, რომ მისი პატარა ვაჟი მშობლებთან იზრდება, დაიღალა მშობლების კრიტიკითაც. იმეორებს, რომ "ბობ დილანი მართალი იყო, როცა ამბობდა - დროება იცვლებაო" და თავს ამით იიმედებს. მერე რა, რომ მამამისი 30 წელი ერთ სამსახურს ემსახურებოდა და მას 33 წლის ასაკში უკვე 30 სამსახური აქვს გამოცვლილი, ეს ყველაფერი ახალი დროების ბრალია.

კენ ლოუჩი 72 წლისაა. ის თავდაჯერებული მემარცხენეა და ეკუთვნის იმ წრესა და სოციუმს, რომლის შესახებაც მთელი ცხოვრება ფილმებს იღებს. ლოუჩს ეძახიან "უკანასკნელ სოციალისტს", ამბობენ , რომ მისი რეპუტაცია ისეთივე უნაკლოა, როგორც რომის პაპისა. მისი ფილმები, უკლებლივ ყველა სოციალურ თემებს ეხება და თანამედროვე სტანდარტების თვალსაზრისით, ძველმოდური და ნაივურია. მაგრამ მგონი ბობ დილანი მართალი გახლდათ, დრო იცვლება და ლოუჩის მთავარი თემა და სატკივარი ისევ აქტუალური გახდა.

იყო მოსაზრება რომ სოციალური ხელოვნება და მათ შორის კინო კომერციულთან ბრძოლაში წააგებდა, განსაკუთრებით ასეთ დროს, ეკონომიკური კრიზისის დროს. ხომ ამბობენ, როცა ხალხს უჭირს და ცუდი დრო დგება, ეს ხალხი ზღაპრებს უფრო იჯერებს და ეტრფის, ვიდრე რეალობასო. და მიუხედავად ამისა, ენჯის ისტორია ნებისმიერ ახალ ტრილერზე მეტად აინტერესებს მაყურებელს. ყველაფერი ლოუჩის გულწრფელობის და მართალი ენის ბრალია. ის გვიჩვენებს გარემოს, რომელსაც ბრიტანეთის ნებისმიერ ფაბრიკასა და სააგენტოში მოენახება ანალოგი. ეს არის გარემო, სადაც ყოველი მეორე თურმე დგას საზღვარზე, გახდეს მატყუარა, "გადამგდები", თუ იყოს ღარიბი და მოტყუებული. მისი პერსონაჟები, პრინციპში ხომ სულ ამ სასაზღვრო ხაზამდე მიდიან, თითქმის ყოველ ფილმში.

კენ ლოუჩის ფენომენი საინტერესოა მთელი ევროპისთვის. ის იბრძოდა ტეტჩერის პოლიტიკის წინააღმდეგ, იბრძოდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ და მუდამ სვამდა ერთსა და იმავე კითხვას - ეს არის თავისუფალი სამყარო?

მისთვის აბსურდულია ლიბერალების მოწოდებანი, რომ ინიციატივა უკვე წარმატებაა. არ სწამს, რომ უიღბლონი თავად არიან დამნაშავენი. ბრიტანეთში ამბობენ, რომ ის თანამედროვე კინემატოგრაფის გურუა, რომელიც ქრისტიანულ ფასეულობებს რეალურ ცხოვრებაში ხედავს და აფასებს. ალბათ ამიტომაც, მისი გმირები არ არიან მოდურები, არ სჭირთ არანაირი გადახრები და საერთოდაც, კარგი, ჯანმსაღი ბრიტანელი ყმაწვილები არიან, ოღონდაც ამ ყმაწვილებს გარემო აიძულებთ გახდნენ ხელმოცარულნი. რეჟისორი კი მათდამი მუდამ სოლიდარობას ამჟღავნებს. მისი აზრით, ხომ სოლიდარობა არა პოლიტიკური ვექტორის გამოძახლია და არა პარტიული პასუხისმგებლობა, არამედ ადამიანური, სულიერი მდგომარეობა.

ლოუჩის კინო - მკაცრი, ლამის დოკუმენტური რეალიზმია. ასეა, ენჯიც კი საბოლოოდ წარმატებისკენ მიმავალ გზას აირჩევს. ასე მოიქცევა იმიტომ, რომ გადარჩეს, ანდა უბრალოდ, იმიტომ რომ მობეზრდა ის, რაც იყო გუშინ. ამიტომაც საკუთარ სააგენტოს გახსნის და ულტიმატუმს სხვას წაუყენებს. ახლა უკვე არჩევანის წინაშე არა ენჯი, არამედ ერთი საცოდავი ბიჭი დადგება.




### 6 დეკემბერი

**თეატრი**

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
"წათეს წითელი წაღები"
რეჟისორი: გიგა ლორთქიფანიძე
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ქაქუცა ჩოლოყაშვილი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"სულიკო"
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"იდიოტოკრატია"
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
რეჟისორი გოგი მარგველაშვილი
დასაწყისი: 19.00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**
"გაყრა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
"სამყარო"
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრის ათონელზე**
პრემიერა
"წითელი ზოლი"
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
"ღმერთო დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა თეატრი**
"სალამურა"
დასაწყისი: 12.00
"კონკია"
დასაწყისი: 15.00
"მოჩვენებანი"
დასაწყისი: 18.00

**კინო**

**"ამირანი"**
"ჯეიმს ბონდი - შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი:13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
"წაიკითხე და გაანადგურე"
დასაწყისი: 14.00; 18.00; 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**
"ჯეიმს ბონდი - შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 12.30; 14.45; 17.15; 19.30; 21.30
"სასიკვდილო რბოლა"
დასაწყისი: 13.30; 15.30; 17.30; 19.45; 21.45
"სახიფათო ბანგკოკი"
დასაწყისი: 14.15; 16.15; 18.45; 20.15; 22.15
"კოსმონავტი მაიმუნები"
დასაწყისი: 13.00; 14.00; 15.00; 17.00
"მკვლელობის უფლება"
დასაწყისი: 19.00; 21.00

**გალერეა**

**"ქარვასლა"**
ჰორსტ იანსენი - გრაფიკა
მაიკლ კენას ფოტოგრაფია - "ფრანგული პეიზაჟი"

**"ჰობი"**
როკო ირემაშვილის პერსონალური გამოფენა

**ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზი**
დავით არსენიშვილი და სათეატრო მუზეუმი

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივმოქმედი გამოფენა

**"აკადემია +"**
ნინო მალლაკელიძის პერსონალური გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

**"ბაია გალერეა"**
მაია ბარათაშვილისა და დათო კიკაბიძის გამფოენა

## განცხადება ტენდერის შესახებ

1. შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს ტენდერს საერთაშორისო სატელეფონო კოდით მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

დაფინანსების წყარო - შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" სახსრები.

ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

2. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2008 წლის 26 დეკემბრის 17.00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია". ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველს შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

3. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები - შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051

ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საერთაშორისო სატელეფონო კოდით მომსახურების შესყიდვა.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 26 დეკემბრის 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია". საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს შესყიდვის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და რეაბილიტაციის (სანაციის) საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ტენდერში მონაწილე უნდა იყოს საერთაშორისო ოპერატორი და გააჩნდეს შესაბამისი საქმიანობის ავტორიზაციის მოწმობა და Dშესაბამისი კოდით სარგებლობაზე ნებართვა გაცემული კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა (არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

7. შესყიდვის პროცესში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულებისა (10000 ლარის ოდენობით) და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (5000 ლარის ოდენობით) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის ფორმით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო პირი - ეკა ბუთხუზი, ტელ: + 995 32 744327.

სატენდერო კომისია

*კონვერტს უნდა მიეთითოს: პრეტენდენტის დასახელება და იურიდიული მისამართი; რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას; რომ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამოყენება ტენდერის გარდა სხვა მიზნებისთვის დაუშვებელია*

## მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე
### კომუნიკაციების კოორდინატორი

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროექტს "ილია ჭავჭავაძე" (შემდგომში - პროექტი), რომლის მიზანია დაწყებითი საბაზო და საშუალო განათლების რეფორმის განხორციელება, სწავლებისა და სწავლის პროცესის ახლებურად წარმართვა და თითეული სკოლისთვის ახალი სტანდარტების დასახვა. პროექტის დაფინანსება ხდება საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ გამოყოფილი კრედიტის მეშვეობით იაპონიის მიერ ტექნიკური დახმარების პროგრამის - PHRD ეგიდით გამოყოფილი გრანტით GrantNo.TF057515, ასევე საბიუჯეტო დაფინანსებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტის ფარგლებში დააფუძნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი). ცენტრის ძირითადი ფუნქციებია: ა) მასწავლებელთა სერთიფიცირების პროცესის წარმატებით წარმართვა; ბ) მასწავლებლის სტანდარტის შემუშავება და მასწავლებელთათვის შესაბამისი სასწავლო მასალის მიწოდება; გ) აკრედიტაციის მექანიზმების შემუშავება მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებისათვის; დ) მასწავლებელთათვის, მასწავლებლობის კანდიდატებისა და ტრეინინგ-პროგრამებისათვის რეგისტრაციის სისტემის შექმნა.

**ზოგადი ამოცანები და ვალდებულებები**

- შეიმუშავოს და განახორციელოს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისთვის;
- უზრუნველყოს მასწავლებლების და სხვა უფლებამოსილი პირების ინფორმირებულობა მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული მიმდინარე ცვლილებების შესახებ;
- მოახდინოს საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგების შეფასება და შესაბამისად დაგეგმოს მომავალი საქმიანობა;
- წარმოოს ყოველკვირეული საინფორმაციო დაიჯესტი მასწავლებელთათვის;
- აწარმოოს სტატიებისა და მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული კვლევის მასალების არქივი;
- კოორდინაცია გაუწიოს ჟურნალ "მასწავლებლის" გამოცემას;
- შეასრულოს სხვა საქმიანობა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში;
- გამოცდილება საზოგადოებასთან ურთიერთობაში ან მსგავს საქმიანობაში;
- ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილად ცოდნა;
- საქართველოს განათლების სისტემის ცოდნა;
- სხვადასხვა დავალების კოორდინირებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- კომუნიკაბელურობა.

**ანგარიშგება**

კომუნიკაციების კოორდინატორი ანგარიშვალდებული იქნება ცენტრის დირექტორის წინაშე.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

ხელშეკრულება გაფორმდება თავიდან ერთი თვის ვადით და ვალდებულების დამაკმაყოფილებლად შესრულების შემთხვევაში გაგრძელდება ერთ წლამდე. შემდეგ ხელშეკრულება განახლდება ყოველწლიურად.

თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი**
0102 თბილისი, დ. უზნაძის ქ. 52, ოთახი 123
ტელეფონი: 95-58-36
ელ-ფოსტა: tbakradze@tpdc.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **თამუნა ბაქრაძე**

განაცხადის ფორმები განთავსებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინტერნეტ გვერდზე:

**www.tpdc.ge**
ვაკანსიები და განცხადებები

**განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2008 წლის 12 დეკემბერი.**

## ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
### აცხადებს ვაკანსიას
### ბუღალტერი

**შესავალი**

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო ნერგავს განათლების სისტემის რეორიენტაციისა და გაძლიერების პროგრამას (APL#2) საკრედიტო ნომერი - 4246 GE, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი და მეორადი განათლების გარდაქმნას და ყველა საჯარო სკოლისთვის ახალი მიზნების ჩამოყალიბებას. პროგრამის დაფინანსება ხდება საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ გამოყოფილი კრედიტის მეშვეობით იაპონიის მიერ ტექნიკური დახმარების პროგრამის - PHRD ეგიდით გამოყოფილი გრანტით GrantNo.TF057515, ასევე საბიუჯეტო დაფინანსებით.

ამ პროექტის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფუძნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი).

**ძირითადი მოვალეობები:**

- სხვადასხვა ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების წარმოება;
- გადარიცხვების აღრიცხვა და შესაბამისი ანგარიშების წარმოება ფინანსური მართვის სპეციალისტისათვის;
- საბუღალტრო დოკუმენტაციის და სხვა საბუთების (ანგარიშფაქტურების, საბანკო ამონაწერების, ანგარიშების და სხვ.) სისტემატიზაცია;
- სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ხარჯების აღრიცხვა;
- სახელფასო უწყისების წარმოება;
- საგადასახადო დეკლარაციების შევსება და წარდგენა საგადასახადო ინსპეციაში;
- ბალანსის შედგენა და წარდგენა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამისტროში.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები (კრიტერიუმები შერჩევისთვის)**

- მინიმუმ ორი წლის ბუღალტრად/ფინანსისტად მუშაობის გამოცდილება;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და ფინანსური მოთხოვნების კარგი ცოდნა;
- კომუნიკაციის კარგი უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები ();
- სხვადასხვა ამოცანების კოორდინირებისა და გადაჭრის უნარი.

**ანგარიშვალდებულება**

ბუღალტერი ანგარიშვალდებულია ფინანსური მართვის სპეციალისტთან და ცენტრის დირექტორთან.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადები სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე:

**ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი**
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52, ოთახი №205.
ტელეფონები: 95-79-88
ელ-ფოსტა: **mkvirkvelia@ganatleba.org**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი მანანა კვირკველია

განაცხადის ფორმა განთავსებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ინტერნეტ გვერდზე:

**www.ganatleba.org**
ვაკანსიები

**განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2008 წლის 12 დეკემბერი.**

# სპორტი

## ფრენბურთის მამამთავრება ქართველ-ბრაზილიელებს მწვანე აუნთეს

*ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს პლაჟის ფრენბურთელთა ნაკრების წევრებს - ქრისტინა სანტანასა და ანდრესა ჩაგასს, იგივე საქა-რთველოს 9-11 იანვარს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე უმთავრეს ნაკრებში თამაშის უფლება დართო. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების თანახმად, აქამდე სხვა ქვეყნის გუნდში თამაშის უფლება მხოლოდ ერთ ნატურალიზირებულ მოთამაშეს შეეძლო.*

"საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის არგუმენტირებული მოთხოვნისა და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. პლაჟის ფრენბურთში საქართველოს ნაკრების წევრებს - ქრისტინა სანტანასა და ანდრესა ჩაგასს ფრენბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ერთდროულად თამაში შეეძლებათ. დებულების თანახმად, ამის უფლება მხოლოდ ერთ მოთამაშეს ჰქონდა, თუმცა საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს ორივე ლეგიონერის გამოყვანის უფლება მისცა. - ვითარებაში გვარკვევს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი. - ყოველივეს შემდეგ, პირველი შესარჩევი ეტაპის დასაძლევად საქართველოს შანსები უფრო გაიზარდა. 9-11 იანვარს ესტონეთს, დანიასა და მოლდოვას ვეთამაშებით. იმედია წარმატებასაც მივაღწევთ".

წარმატების მისაღწევად ჯგუფში გამარჯვებაა საჭირო. ფინალურ ეტაპს კი 2010 წლის 29 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე იაპონია უმასპინძლებს. არადა, თავდაპირველად საერთაშორისო ფედერაციის დავალებით ჯგუფის მატჩებისთვის დანიელებს უნდა ემასპინძლათ, მაგრამ ვინაიდან სკანდინაველებმა საორგანიზაციო საკითხები ვერ მოაგვარეს, მატჩების ჩატარების უფლება ესტონეთის დედაქალქ ტალინს მიეცა.

"დაჟინებული თხოვნის შემდეგ საერთაშორისო ფედერაციამ ჯგუფის მასპინძელი ქვეყანა დაასახელა, - აცხადებს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი. - საქართველოს ნაკრები მშვენიერი განწყობით ხვდება სანაკრებო მატჩებს. მჯერა, გოგონები ყველაფერს გაიღებენ წარმატების მოსაპოვებლად. ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა, რაც იოლი არ იქნება, მაგრამ ამის გაკეთება ნამდვილად შეგვიძლია".



*საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებს ქრისტინა სანტანა და ანდრესა ჩაგასი გააძლიერებსს*

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანში გაივლის, იქიდან კი სავარაოდოდ პირდაპირ ტალინში გაემგზავრება. ფედერაციაში სჯერათ, რომ ქართველი-ბრაზილიელების გამოცდილება ნაკრებს მეტად წაადგება. ესეც ვთქვათ, რომ კრისტინა და ანდრეზა ნაკრებს პირდაპირ ტალინში შეუერთდებიან.

საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა: დალი ალიბეგაშვილი ("ბურსა", თურქეთი), თინათინ დაუჯიძე ("ბურსა", თურქეთი), ნელი დათუკაშვილი ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში - კაპიტანი), ელეონორა კაზარიანი ("არომაპაკი", რუსთავი), იანა ზადიმენჩენკო ("არომაპაკი", რუსთავი), ნინო მუყარაშვილი ("ბათუმი"), ნათია ბანძელაძე ("ბათუმი ), ირინა კახაძე ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში), მარიამ ყიფშიძე ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში), თეა მძელური ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში), ირინა შენგელია ("ჯიკო", დიდი ჯიხაიში), მაია გუშარაშვილი ("დია", დუშეთი"), სოფო ჭეიშვილი ("ბათუმი"), ანა ბერძენიშვილი ("ბათუმი"), მარიამ ჟორჟოლიანი ("ბოლნისის სიონი"), ქრისტინა სანტანა, ანდრეზა ჩაგასი.

## რამაზ გოგობერიშვილის კალათბურთიდან წავიდა

*რუსთავული და მთლიანად ქართული კალათბურთისთვის ხუთშაბათს ერთი ლამაზი, ცოტა სევდიანი, მაგრამ მაინც ღირსეშანიშნავი დღე იყო - კალათბურთიდან გააცილეს ეროვნული ჩემპიონატების ერთ-ერთი ყველაზე ლაზათიანი, მოხდენილად მოთამაშე და აზარტული კალათბურთელი რამაზ გოგობერიშვილი. რუსთავულმა "ქიმიკოსთა" დარბაზმა, რა თქმა უნდა, სრულად ვერ დაიტია ქართული კალათბურთის გულშემატკივარი.*

რუსთავში თავი მოიყარეს რამაზის მეგობრებმა, მეტოქეებმა, თანაგუნდელებმა თუ უბრალოდ გულშემატკივრებმა. ამათგან ნაწილს მოედანზე გასვლის პატივი ერგო, დანარჩენებმა კი უკანასკნელად უყურეს გოგობერიშვილის თამაშს - რუსთავის "აზოტმა" ვეტერანი თუ მოქმედი კალათბურთელებისა და ქართული კლუბებისგან შემდგარი რამაზის მეგობრების წინააღმდეგ ითამაშა.

თამაში თამაშად და "ქიმიკოსთა" დარბაზში უამრავი რამ იხილა გულშემატკივარმა. საცეკვაო ნომრები, თანამედროვე მუსიკალური ჯგუფისა და ანსამბლის რამაზისადმი მიძღვნილი სიმღერები, სპეციალურად გოგობერიშვილის გაცილებისთვის შექმნილი ვიდეო-კლიპი, ჯილდოები, საჩუქრები და... მატჩის ბოლოს მოედანზე გამოსული რამაზის ვაჟიშვილი, რომელმაც მამის გულის გასახარად არაერთი ბურთი ჩაუგდო მეტოქეს.

რამაზ გოგობერიშვილს მრავალი ფასიანი საჩუქარი გადასცა ქვემო ქართლის, რუსთავისა და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა.

საქართ ელოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლი-



*გოგობერიშვილი კალათბურთიდან გააცილეს, მაგრამ რუსთავის ასაკობრივ გუნდში მწვრთნელად მუშაობას გააგრძელებს*

პარტელიანმა გოგობერიშვილს ეროვნული ნაკრების 13-ნომრიანი მაისურა გადასცა (რამაზ გოგობერიშვილმა საკუთარი კარიერის ბოლო წუთები მოედანზე სწორედ 13-ნომრიანი მაისურათი გაატარა. რედ.).

საკუთრივ თამაში ისეთი იყო, როგორიც ამ ყაიდის მატჩებს შეეფერება. ყველა ცდილობდა, მოხდენილი თამაშით ესიამოვნებინა მაყურებელი, რაც გამოუვიდათ კიდეც. საბოლოოდ რუსთაველებმა 120:96 მოიგეს, მატჩის ბომბარდირი კი ამ ღონისძიების მთავარი გმირი რამაზ გოგობერიშვილი გახდა - 27 ქულა.

მართალია რამაზ გოგობერიშვილს მოედანზე ველარ ვიხილავთ, მაგრამ კალათბურთიდან მის წასვლაზე ლაპარაკი მაინც ნაადრევია - გოგობერიშვილი რუსთაველთა ასაკობრივი გუნდის მწვრთნელად აგრძელებს მუშაობას.

## მოსკოვი No!

საერთაშორისო კატეგორიისა და ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მქონე ქართველი არბიტრი - ზურაბ ტიბუა მოსკოვში 9-15 დეკემბერს გასამართ "მსოფლიოს თასზე" არ გაემგზავრება. ზურაბ ტიბუა "მსოფლიო თასზე" იმ ექვს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯთან ერთად მიიწვიეს, რომლებმაც 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებზე იმსაჯეს. მეზობელ ქვეყანასთან დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქართველი არბიტრი ტურნირზე და შესაბამისად რუსეთში პროტესტის ნიშნად არ ჩავა. ცნობისთვის მოსკოვის მსოფლიოს თასზე 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებმა და მსოფლიოს უძლიერესმა სპორტსმენებმა უნდა მოსინჯონ საკუთარი ძალები.

ქართველმა მსაჯმა საკუთარი გადაწყვეტილება უკვე აცნობა სამოყვარულო კრივის მსოფლიო ასოციაციას (AIBA).

შეგახსენებთ, რომ ტიბუამ 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 40-მდე შეხვედრა იმსაჯა, ხოლო 7-ჯერ რინგის მთავარი მსაჯი გახლდათ, მათ შორის 23 აგვისტოს 51 კგ. წონითი კატეგორიის ფინალური შეხვედრაშიც. გარდა ამისა, ტიბუას საკმაოდ მნიშვნელოვანი თეორიული ცოდნაც აქვს დაგროვილი, ოლიმპიური ლიცენზიის მქონე ერთადერთი ქართველი მსაჯი არაერთი საერთაშორისო სემინარის მონაწილეა.

"ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. ნამდვილად არ მქონდა მორალური უფლება ჩავსულიყავი და მემსაჯა ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია. როგორც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს საკმაოდ მაღალი რეიტინგი მაქვს და ერთის მხრივ, ასეთი ტურნირის გამოტოვება ერთგვარი დანაკლისია, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი ქვეყნის ინტერესებია და ამიტომ პროტესტის ნიშნად მოსკოვში არ გავემგზავრები. სამოყვარულო კრივის მსოფლიო ფედერაციას უკვე ვაცნობე ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. მათი მხრიდან ყოველთვის ვგრძნობდით თანადგომას და ისინი ამჯერადაც გაგებით მოეკიდნენ ამ ნაბიჯს".

## წაგება მოგებაზე გავცვალეთ

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა დნეპროძერჟინსკში მიმდინარე უკრაინის ღია პირველობაზე ერთი მატჩი მოიგო და ერთიც წააგო. ქართველებმა ჯერ ლვოვის "დინამოსთან" ერთი ქულის სხვაობით 12:13 წააგეს, შემდეგ კი "დნეპრი" საკმაოდ მსუყე ანგარიშით - 20:3 გაანადგურეს. დღეს საქართველოს ნაკრები მოლდოვას ეთამაშება ხვალ კი უკრაინას.

საქართველოს უმთავრესს გუნდს უკრაინის ღია ჩემპიონატზე საასპარეზოდ წლებია სისტემატიურად იწვევენ და ესენიც თავს არ ირცხვენენ. ეგაა, თუ ადრე ფინანსური პრობლემების გამო ნაკრები სრული შემადგენლობით ვერ ახერხებდა უკრაინაში ასპარეზობას, ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინაში პრეზიდენტის რანგში ერთგვარი დებიუტი აქვს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ახლადარჩეულ ხელმძღვანელს ალექსანდრე ბითაძეს, რომელიც უკრაინაში დელეგაციის ხელმძღვანელის რანგშიც გვევლინება.

**საქართველოს ნაკრები:** ნიკა ასათიანი, შალვა ნამორაძე, ბექა ქენქაძე, ზურაბ რურუა (კაპ.), გიორგი ხვედელიანი, გალაქტიონ ლაითაძე, სანდრო რუსიშვილი, გურამ კოტარია, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლაიშვილი, გიორგი ბუტიკაშვილი, მიხეილ ბაღათურია, პავლე ჯაფარიძე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ/ფაქსი: (995 32) 388210, (995 32) 388220; (995 32) 388220 (119); E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს „გლობალური ფონდის" პროექტების: „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში", „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება", „DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში", „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება" ფარგლებში ელექტროსაქონლისა და ინვენტარის შესყიდვის მიზნით და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს;

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები („გლობალური ფონდის" პროექტი: №-GEO-202-G01-H-00; პროექტი: №-GEO-607-G06-H; პროექტი: №-GEO-405-G03-T; პროექტი: №-GEO-607-G05-T; პროექტი: №-GEO-607-G04-M);

3. შესყიდვის ობიექტია:

| ლოტი № | საქონლის დასახელება * | საქონლის მოკლე მახასიათებლები | სახეობა /ტიპი | რაოდენობა (ცალი /კომპლექტი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ტელევიზორი | ფერადი ტელევიზორი, კედელზე მისამაგრებელი შტატივით | 2 | 133 |
| 2 | ვიდეოკამერა | ვიდეოკამერა | 1 | 2 |
| | | ვიდეოკამერის სადგამი შტატივი | 1 | 1 |
| | ფოტოაპარატი | ფოტოაპარატი, ციფრული | 1 | 1 |
| | „DVD დისკის წამკითხავი/ჩამწერი" | „DVD რეკორდერი" | 1 | 1 |
| | „DVD დისკის წამკითხავი" | „DVD ფლეიერი" | 1 | 1 |
| | ტელეფონის აპარატი | ღილაკებიანი | 1 | 11 |
| | საოფისე დაფა | საოფისე დაფა, სადგამით | | 3 |
| | პროექტორის ეკრანი | პროექტორის ეკრანი, სადგამით | 1 | 2 |
| | სეიფი | საოფისე სეიფი, დასადგამი | 1 | 2 |
| | მაგიდის ნათურა | მაგიდის ნათურა, ნათის ღილაკით | 1 | 3 |

4. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 6 კვირისა, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
მიწოდების პირობა: საქონელი მიწოდებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე (თბილისი, ქ.ზუგდიდი, დაბა აბასთუმანი). მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად (*შენიშვნა: მიწოდების ადგილთან, ვადებთან და საქონლის ტექნიკურ პარამეტრებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას).

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ **2008 წლის 26 დეკემბრის 10:00 სთ.-დან 2008 წლის 26 დეკემბრის 17:00 სთ.-მდე** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე **2008 წლის 26 დეკემბრის 17:00 სთ.-ზე** (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა;
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;
გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
6.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:
ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);
გ) ინფორმაცია საგარანტიო მომსახურების, საქონლის მიწოდების ვადებისა და ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე ტენდერში მონაწილე პირების სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში).

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამი) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი).

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია/დაზღვევა);

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეუძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), „საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშსწორების ანგარიში ლარებში: 36089810205272040003 (005606074) დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი;

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა **განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2008 წლის 25 დეკემბრის 18:00 სთ.-მდე** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული;

12. პრეტენდენტს უფლება აქვს ცალკეულ ლოტზე წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

13. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითოეულ ლოტზე;

14. ტენდერში ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება;

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ხანდრო კვაჭანტირაძე, ხათუნა კაპანაძე (სატენდერო კომისიის აპარატის წევრები), სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ.: (995 32) 388210, (995 32) 388220; ფაქსი: (995 32) 388210/20 (119); E-mail: globalfund@caucasus.net).

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "სანდასუფთავება" (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია) აცხადებს ტენდერს ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერების შესაძენად 2 ლოტად.
ლოტი 1 - 220 ცალი 0,4 კუბ.მ. ტევადობის კონტეინერი;
ლოტი 2 - 400 ცალი 0,8 კუბ.მ. ტევადობის კონტეინერი.
**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა **- 2009 წლის 1 მარტი.**
**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 30 დეკემბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია (შპს "სანდასუფთავების" ადმინისტრაცია).**
**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
**4.1. იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);
ბ) ცნობა, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
გ) ცნობა საგადასახდო ორგანოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველი პირის ლიკვიდაციის პროცესი.
**4.2. ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი გვარი, ტელეფონი, ფაქსი,?მობილური, ელექტრონული ფოსტა e-mail);
**5. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ ("პროკრედიტ ბანკი"-ს ბათუმის ფილიალი, ანგარიშის N360801010300054, ბანკის კოდი: 220101901; საიდენტიფიკაციო კოდი: 245548153, დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2008 წლის 8 დეკემბრის 11:00 საათიდან 29 დეკემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია, შპს "სანდასუფთავების" სატენდერო კომისია.**
**6.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება თითოეულ ლოტზე, ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
**7.** პრეტენდენტებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, წინადადების საერთო ფასის 1%-ის ოდენობით, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ფასის 2 %-ის ოდენობით.
**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატისაგან. ტელ: ' (99577) 545477, ' (99577) 545411, მისამართზე: **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 2 (ორი) ლოტად დაყოფილ ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული 288 ერთეული სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის (მათ შორის დამზღვევის პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირის წინაშე) შესყიდვაზე (დაზღვევის მოქმედების ვადა 2009 წლის 01 იანვრის 00:01 საათიდან 2009 წლის 31 დეკემბრის 00:00 საათამდე) და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., ოთახი 311 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2008 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით ყოველ დღე, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

3. დასაზღვევი ობიექტების ჩამონათვალი: 267 ერთ. ავტომობი; 21 ერთეული ხმელეთის სკუტერი (მოტოროლერი) და მოტოციკლი.

| ლოტი № | პოზიცია № | ავტომობილების სახეობა | გამოშვების წელი | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| I | 1 | შკოდა | 2006 | 21 |
| | 2 | შკოდა | 2007 | 132 |
| | 3 | შკოდა | 2008 | 66 |
| | 4 | პასატი | 2006 | 1 |
| | 5 | პასატი | 2007 | 1 |
| | 6 | პასატი | 2008 | 13 |
| | 7 | ჯეტა | 2005 | 10 |
| | 8 | ნისან ნავარა 2,5 | 2008 | 13 |
| | 9 | ტოიოტა კოროლა 1,6 | 2007 | 1 |
| | 10 | მერსედესი ML-270 | 2000 | 1 |
| | 11 | პორშე კაიენი S | 2004 | 1 |
| | 12 | ტოიოტა ქამრი | 2005 | 1 |
| | 13 | ტოიოტა ქამრი | 2006 | 1 |
| | 14 | ტოიოტა ქამრი | 2008 | 1 |
| | 15 | ბმვ X-5 | 2002 | 1 |
| | 16 | ოპელ ვექტრა C1,8 | 2005 | 1 |
| | 17 | აუდი A6 | 2004 | 1 |
| | 18 | ლექსუსი RX330 | 2005 | 1 |
| | 1 | YAMAHA მოტოციკლი | 2005 | 2 |
| | 2 | YAMAHA მოტოციკლი | 2007 | 3 |
| | 3 | YAMAHA RACING SPORT ხმელეთის სკუტერი | 2008 | 15 |
| | 4 | MONDIAL ხმელეთის სკუტერი | 2008 | 1 |

4. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად დალუქული კონვერტით (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2008 წლის 26 დეკემბრის 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. საკვალიფიკაციო მონაცემის დალუქული კონვერტების გახსნა განხორციელდება 2008 წლის 26 დეკემბერს 15:00 საათზე.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

ა) ცნობას საჯარო რეესტრიდან ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არაუმეტეს 5 დღისა)
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 დღისა)
გ) ცნობას სასამართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 დღისა)
დ) აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ლიცენზიის დამოწმებულ ასლს.
ე) ინფორმაციას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ, (მათ შორის ნაჩვენები უნდა იყოს 3 წლის განმავლობაში მოზიდული ჯამური პრემია და გადახდილი ზარალები)
ვ) ინფორმაციას გადამზღვეველის შესახებ და გადაზღვევის პირობებს (სქემა).
ზ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 დღისა)

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
9. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.
10. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი ლომთაძე, ტელ: 41 30 17; 877 77-25-35.

**სატენდერო კომისია**

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მიერ 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | აუდიო-ვიზუალური ნაწარმოებისსერიალ „მესამე თაობის" სახელმწიფო შესყიდვა | შპს „ფორმულა პლიუსი" | 590700 ლარი |

# გარემოს დაცვის ინსპექციის ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" 19-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: 1. მაღალი გამავლობის ავტომანქანების შესყიდვის მიზნით 2008 წლის 19 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს "სენა ავტო". ტენდერში გამარჯვებულთან 2008 წლის 15 ოქტომბერს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. 2. ინსპექციის თანამშლებისათვის სპეც. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესყიდვის მიზნით 2008 წლის 15 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: **ლოტი N1 - შ.პ.ს. "უნისტილი"; ლოტი N2 - შ.პ.ს. "უნისტილი"; ლოტი N4 - შ.პ.ს. "უნისტილი"; ლოტი N5 - შ.პ.ს. "ნექსოფი"; ლოტი N6 - შ.პ.ს. "ნექსოფი"; ლოტი N7 - შ.პ.ს. "უნისტილი"; ლოტი N8 - შ.პ.ს. "უნისტილი"; ლოტი N9 - შ.პ.ს. "უნისტილი".** ტენდერში გამარჯვებულებთან 2008 წლის 11 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. 3. მაღალი გამავლობის ავტომანქანების შესყიდვის მიზნით 2008 წლის 28 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს "სენა ავტო". ტენდერში გამარჯვებულთან 2008 წლის 19 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. 4. სწრაფმავალი კატარღის შესყიდვის მიზნით 2008 წლის 30 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ი.მ. "პეტრე დევრიშაძე". ტენდერში გამარჯვებულთან 2008 წლის 27 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

**სატენდერო კომისია**
**5 დეკემბერი, 2008 წელი**

# განცხადება აუქციონის შესახებ

შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი" აცხადებს **აუქციონს სამედიცინო აპარატურის გაყიდვის მიზნით.**
შესყიდვის ობიექტის აღწერა: სამედიცინო აპარატურა

**1.** სასუნთქი აპარატი ახალშობილთათვის **BABYLOG 8000 sc,** რომლიც გამოშვებულია 2001 წელს, მუშა მდგომარეობაში და მისი საბაზრო სარეალიზაციო ფასი შეადგენს **18 000 ლარს.**

**2.** ინტრავაგინალური გადამწოდი **"ALOKA -** ბიოფსიის ასალები მოწყობილობებით, რომლიც გამოშვებულია 2003 წელს, მუშა მდგომარეობაში და მისი გასაყიდი სარეალიზაციო ფასი დღესდღეობით შეადგენს **7 000 ლარს.**

სხვა დამატებითი ინფორმაციის მიღება სამედიცინო აპარატურის გაყიდვის შესახებ Dდაინტერესებულ პირებს შეეძლებათ მათი მოთხოვნის შესაბამისად აუქციონის კომისიის აპარატში (ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N4, "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის Gგადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი", VIII სართული, ადმინისტრაცია).

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის მიღება დაიწყება **2008 წლის 6 დეკემბრიდან 10.00 სთ-დან 2008 წლის 25 დეკემბრამდე 17.00 სთ-მდე.**

**აუქციონი გაიმართება 2008 წლის 26 დეკემბერს 12.00 სთ- ზე.**
კომისიის აპარატში, ზემოთ მოცემულ მისამართზე.

აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდება "მონაწილე", რომელიც გამყიდველს ყველაზე მაღალ ფაას შესთავაზებს.

აუქციონზე გამარჯვებული ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია 30 (ოცდაათი) საბანკო დღეში დაფაროს მთლიანი საუქციონო თანხა.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ აუქციონის კომისიის აპარატს.**

**ელენე ტაბატაძე. ტელ: 52-62-96**



AFP ' 2008

*რა ემუქრება ვენეციას? - ამ კითხვას სვამენ მეცნიერები და ასევე ისინი, ვისთვისაც ეს ქალაქი ძვირფასია. ასეთები კი ბევრნი არიან. 2 დეკემბრიდან დღემდე ვენეციიდან მოსახლეობა გადის. მირბიან ტურისტებიც. წყალდიდობა 2 დეკემბერს დაიწყო, თუმცა დღემდე, ვენეციის პატარა ქუჩები და გასასვლელ-გამოსასვლელები დატბორილია. რთული წარმოსადგენია, მაგრამ მეცნიერები იმეორებიან რომ ვენეციის ჩაძირვა შეუქცევადი პროცესია და 22 წელიწადში თუ არა, 30 წელიწადში ის აღარ იარსებებს. იარსებებს მოხლოდ მოგონებები, სან მარკოზე, დოჟების სასახლეზე... და წყალს გაჰყვება ზაფხულის შეხვედრები ვენეციურ ფესტივალებზე. და მაინც, ნუთი ჩაიძირება?*

პორტრეტი

# იმისათვის, რომ გიყვარდეს, სასურველია ავსტრიელი იყო

## ამას მწერალ ელფრიდე ელინეკზე ამბობენ

ელფრიდე ელინეკზე იმდენი დაიწერა, რომ მასზე რაიმე ახალის თქმა ძნელია. იმ მომენტისათვის, როდესაც ავსტრიელ მწერალს ნობელის პრემია მიანიჭეს, მას უკვე იმაზე მეტი ჰქონდა დაწერილი, რამდენის ერთდროულად წაკითხვაც შეუძლებელია.

მწერალმა, რომელიც დიდხანს, ავსტრიაშიც კი, სრულიად მარგინალურ ავტორად ითვლებოდა, სახელი და პოპულარობა ყველასათვის მოულოდნელად მოიხვეჭა და მთარგმნელებმაც მისი ნაწარმოებების თარგმნა დაიწყეს. ქართველმა მკითხველმა ის პირველად რუსულ ენაზე ნათარგმნი ოთხი რომანით - "პიანისტი:, "საყვარლები", "სიხარბე" და "ჩვენ ჭრელი პეპლები ვართ, ბალღო", გაიცნო, სადაც არის სექსი, ქალურ საკითხებზე მსჯელობა და... კვლავ სექსი.



ელინეკის პროზა არც თუ ისე მსუბუქი საკითხავია, მისი ნაწარმოებების მთავარი თემაა მსოფლიო (და უწინარესად, ავსტრიული) უსამართლობა, მთავარი მეტაფორა - ქალის სხეული, მთავარი იარაღი კი, - გერმანული ენა. ის აუცილებლად გერმანულად უნდა წაიკითხოთ, რადგან ამ ენის მელოდიურობა და სიტყვათა რთული შეთანხმება მის ტექსტებში საუკეთესოდ იკითხება. რაც თავად ავტორისა და ამასთან, ნობელის პრემიის კომიტეტის აზრით, უცხო ენაზე ვერ ითარგმნება.

იმისათვის, რომ გიყვარდეს, სასურველია ავსტრიელი იყოო, აღნიშნავენ. თავად ელფრიდე ელინეკს კი, ავსტრია არ უყვარს და თანაც, სპეციფიურად. აღსანიშნავია, რომ ასეთი "სპეციფიური სიძულვილით" გასული საუკუნის დასასრულის თითქმის ყველა ავსტრიელი მწერალი საზრდოობდა.

წარსულში მტკიცე მემარცხენე, რომელიც დაახლოებით ოცი წელი ავსტრიის კომუნისტური პარტიის წევრი გახლდათ, პოლიტიკურ მოღვაწეობას ახლაც აგრძელებს. ამასთან, ძალიან იტანჯება მიზანთროპიითა და აგორაფობიით: მწერალი ქალი სახლიდან, თითქმის, არ გამოდის და როგორც ამბობენ, თვითმფრინავით მგზავრობის ეშინია. მისი ტექსტები, რომლებიც დილის გამოშვების ახალ ამბებზეა დაფუძნებული, სკანდალურია. მაგალითად, ელფრიდე ელინეკს პიესამ "ბემბილენდ" 2004 წელს ნობელის პრემია მოუტანა. ის ორნაწილიანია, პირველია "ბემბილენდ", სადაც ასახულია ომი ირანში, ხოლო მეორე - "ბაბილონი", სადაც აბუგრეიბის ციხეში მომხდარი წამების ფაქტებია ასახული.

თუმცა, თუ ამ მწერლის ნამდვილი გაცნობა გსურთ, თავდაპირველად მისი არც თუ ისე დიდი, მაგრამ უმთავრესი გამოცემა, სახელწოდებით "კლარა შ." უნდა წაიკითხოთ, რომელიც 2006 წელს რუსულადაც ითარგმნა. აღსანიშნავია, რომ ის ერთ ძალიან ცნობილ პიესას, რამდენიმე ესსესა და ნობელის პრემიის გადაცემისას წაკითხულ ლექციას მოიცავს.

ელფრიდე ელინეკისთვის ნამდვილი სტიქიაა თეატრია. ის ანტიკური დრამით საზრდოობს: თემა - მითი, მთავარი მოქმედი გმირი - ქორო, მასზე მნიშვნელოვანი კი - ღმერთი. ელინეკი იუმორითა და მარჯვე დიალოგებით გამორჩეული თანამედროვე დრამისგან შორს დგას და საკუთარ გზას იკვლევს. მის პიესებში არ არის დიალოგები, იქ მხოლოდ ტექსტის ნაკადია და ისიც, გმირებისა და ადრესატის გარეშე... ამ მწერალთან ისიც კი რთული გასაგებია, ვინ ლაპარაკობს, ის ხან კაცია, ხან ქალი, ხანაც ზედამხედველი, პატიმარი, ღმერთი, ან სულაც, ტელევიზორი... მწერალი, ამ შემთხვევაში, წარმოგვიდგება, როგორც "ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა", რომელიც ანთხევს იმას, რაც წლების განმავლობაში შეაგროვა და განიცადა. შესაბამისაც, ვიღებთ ენობრივი შტამპებისა და ახალი ამბების სათაურებისგან შედგენილ ნაგვის გროვას და კიდევ, რაღაც ანტიკური მითების მაგვარს, რაც კათარზისს იწვევს.

ელფრიდე ელინეკის წიგნის სათაური - "ბემბილენდი", გასართობი პარკის სახელწოდებიდან მომდინარეობს, რომელიც სერბეთში მარკო მილოშევიჩის, სლობოდანის შვილის მიერ არის აგებული. ახლა შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ თემა, რომელიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ იყო აქტუალური, უკვე აღარავის აინტერესებს: მსოფლიო კრიზისისა და ობამას შემდეგ ირანზე ვინღა წაიკითხავს? მაგრამ ელფრიდე ელინეკი სწორედ იმით არის დაკავებული, რომ მარადიულად აქტუალურსაც შტამპავს და წერს იმისათვის კი არა რომ იცოდნენ, არამედ იმისათვის რომ ახსოვდეთ!

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა
"ოფთალმიჯი"
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით
უკანასკნელი თაობის ასფერული
მულტიფოკალური
ბროლი Acrysof-ReSTOR
კატარაქტის ქირურგიაში
საუკეთესო მხედველობა
სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე
ახლო მანძილზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ფრონტალური-დამტვირთველი:
456 HT

JCB
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 მ³
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.



მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
☎ 244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

# იყიდება




საწარმოო ფართი შენობა-ნაგებობებითა და საჭირო ინფრასტრუქტურით, მიწის საერთო ფართი შეადგენს 17544 მ².
მისამართი: გლდანულა, ჯანჯღავას ქ. N62.
საკონტაქტო პირი: ბადრი ღლონტი 899 50 71 95.

# დაზუსტება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2008 წლის 17 ნოემბერს, გაზეთ "24 საათში" (N257) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება N29 ზონაში (სვანეთის რეგიონი) შემავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის ს/გზის კმ.30-კმ.198; ბეჩო-ტურბაზა-"შიხრა"-ს ს/გზის კმ.1-კმ.8.2) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესყიდვას.

პირველი პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს N29 ზონაში (სვანეთის რეგიონი) შემავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის ს/გზის კმ.30-კმ.198; ბეჩო-ტურბაზა-"შიხრა"-ს ს/გზის კმ.1-კმ.8.2, ხაიში-საკენი-ომარიშარას საავტომობილო გზის კმ1-3კმ) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის**
**სატენდერო კომისია**

# სატენდერო განცხადება

**United Nations Development Programme**

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამას "ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

**გამოაცხადოს ტენდერი**

**გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საოფისე ფართების სარემონტო სამუშაოებზე**

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილი სახით დალუქულ კონვერტებში, არაუგვიანეს 2008 წლის 17 დეკემბრის 13:00-მდე.
საჭირო სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

გაეროს განვითარების პროგრამა
ქ. გორი ⎮⎮ სტალინის გამზირი #4
საკონტაქტო ტელეფონი 8(270) 7 95 70, 855 18 83 15
თეიმურაზ დალაქიშვილი

ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდებზე: **www.undp.org**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს ტენდერს ინფორმაციის გადამცემი ექვსი 2-მეგაბიტიანი არხის (გადასაცემი ინფორმაციის E1 პროტოკოლით) იჯარით სარგებლობის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი I რადიოსარელეო არხები**

1. ერთი რადიო-სარელეო არხი ინფორმაციის გადასაცემად ქ. სენაკსა და ქ. თბილისს შორის. მაგისტრალი: - ქ. სენაკი ტელეცენტრი - ნიშნული 1100;
2. ერთი რადიო-სარელეო არხი ინფორმაციის გადასაცემად ქ. ბათუმსა და ქ. თბილისს შორის. მაგისტრალი: - ქ. ბათუმი აეროპორტი - ნიშნული 1100;
3. ერთი რადიო-სარელეო არხი ინფორმაციის გადასაცემად ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისს შორის. მაგისტრალი: - ა/პ "კოპიტნარი - ნიშნული 1100;

**ლოტი II ოპტიკურ - ბოჭკოვანი არხები.**

1. ერთი ოპტიკურ - ბოჭკოვანი არხი ინფორმაციის გადასაცემად ქ. სენაკსა და ქ. თბილისს შორის. მაგისტრალი: - ქ. სენაკი ობიექტი MSSR - ქ. თბილისი ს.მ.მ.-ის შენობა;
2. ერთი ოპტიკურ - ბოჭკოვანი არხი ინფორმაციის გადასაცემად ქ. ბათუმსა და ქ. თბილისს შორის. მაგისტრალი: - ქ. ბათუმი აეროპორტი - ქ. თბილისი ს.ს.მ. -ის შენობა;
3. ერთი ოპტიკურ - ბოჭკოვანი არხი ინფორმაციის გადასაცემად ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისს შორის. მაგისტრალი: - ქ. ქუთაისი ა/პ "კოპიტნარი - ქ. თბილისი ს.ს.მ. -ის შენობა;

ტენდერის შედეგად გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. დაფინანსების წყარო - შპს "საქაერონავიგაციის" სახსრები. Mომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2008 წლის 26 დეკემბრის 16:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია" 0158. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც ზემოაღნიშნულ მისამართზე.

3. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები - შპს "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051
ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ინფორმაციის გადამცემი არხების იჯარა.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ **2008 წლის 26 დეკემბრის 10:00-დან 16:00-საათამდე**, შემდეგ მისამართზე: 0158, ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია". დასაშვებია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენა უცხო ენაზე დედნის სახით და/ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, რომლებსაც აუცილებლად უნდა დაერთოს შესაბამისი საკონსულოს მიერ ლეგალიზებული ქართული თარგმანი (არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის). საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს შესყიდვის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

5. **საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია**:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და რეაბილიტაციის (სანაციის) საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია პრეტენდენტის დასახელების, იურიდიული მისამართის, ტელეფონი/ფაქსის, საბანკო რეკვიზიტების, ხელმძღვანელის სახელის, გვარის შესახებ;
- ავტორიზაციის მოწმობა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა (არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოებიდან.

7. შესყიდვის პროცესში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულებისა (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით) და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის ფორმით.

8. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო პირები: ე. ბუთხუზი, გ. ნადირაძე ტელ: 744-373, 744-327.

***შენიშვნა:***

*კონვერტს უნდა მიეთითოს: პრეტენდენტის დასახელება და იურიდიული მისამართი; რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას.*

***სატენდერო კომისია***

## შ.პ.ს. "ალაზანი-მ" აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციის მიზნით

| № | სატრანსპორტო საშუალებების დასახელება, სახელმწიფო ნომერი | გამოშვების წელი | დადგენილი საწყისი ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი) | ბე 10% | მონაწილის ბილეთის ფასი | ბიჯი ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | პაზ 3507 RAP 115 | 1988 | 5500 | 550 | 10 | 50 |
| 2 | ა/მ ოპელვექტრა 2.01. SPORT IOI 716 | 1992 | 9500 | 950 | 10 | 50 |
| 3 | სატვირთო გაზ 53 RAT 341 | 1988 | 2000 | 200 | 10 | 50 |
| 4 | ზილ 431410 RAL 319 | 1988 | 12000 | 1200 | 10 | 50 |
| 5 | მმზ 4502 VMW 839 | 1983 | 4000 | 400 | 10 | 50 |
| 6 | კამაზი 53212 RBI 891 | 1988 | 15000 | 1500 | 10 | 50 |
| 7 | პაზ 3504 RAR 634 | 1989 | 4000 | 400 | 10 | 50 |
| 8 | ზილ 431410 VMW 846 | 1988 | 12000 | 1200 | 10 | 50 |
| 9 | მმზ 554 TAB 934 | 1989 | 7000 | 700 | 10 | 50 |
| 10 | გაზ 53-12 VMW 842 | 1990 | 2500 | 250 | 10 | 50 |
| 11 | ცემენტმზიდი ზილ 130-B-1-76 RBF-215 | 1986 | 5000 | 500 | 10 | 50 |
| 12 | ზილ 441510 VMW 843 | 1990 | 4500 | 450 | 10 | 50 |
| 13 | ა/ამწე მაზ 53-34 VMW 841 | 1990 | 18000 | 1800 | 10 | 50 |
| 14 | პაზ 3507 VMW 907 | 1990 | 5500 | 550 | 10 | 50 |

აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა რეგისტრატორს უნდა წარმოუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება.
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
გ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მონაწილე იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს, ბილეთის ფასი 10-ლარი, რომელიც შევა შემდეგ ანგარიშზე:
ს/ს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, კოდი: **220001502,**
მიმღები: შ.პ.ს. "ალაზანი-მ", ს/კ: **231281564**
მიმღების ანგარიში: **182945700.**
იგივე საბანკო ანგარიშზე შევა გადახდილი ბე.
ბე აუქციონში მონაწილეს ეთვლება საერთო ღირებულებაში. აუქციონში დამარცხების შემთხვევაში მონაწილეს ბე უკან უბრუნდება.
აუქციონის ჩატარებისას მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ბე-ს გადახდის საბანკო ქვითარი.
აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 26 დეკემბერს 12 სთ-ზე.
მისამართი: ქ. თელავი, ალაზნის გამზირი, ანინებულის ტერიტორია, შ.პ.ს. "ალაზანი-მ"-ის ოფისი.
განაცხადება მიიღება 2008 წლის 25 დეკემბრის 16 სთ-მდე იგივე მისამართზე.
დამატებითი ინფორმაციისთვის
დაგვირეკეთ ტელეფონზე: 8-250-7-41-18
899-234-405

# სატენდერო განცხადება, რომელიც ეხება ორ გამოკითხვას საქართველოში კორუფციისა და საჯარო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით

"საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის ხელშეწყობის პროექტის" (GEPAC) ფარგლებში, საქართველოს მთავრობის დაკვეთით, ევროპის საბჭო (www.coe.int/gepac) დაინტერესებულია ჩატარდეს ორი გამოკითხვა სამოქალაქო საზოგადოებისთვის და საჯარო მოხელეებისათვის, რომელიც შეეხება საქართველოში კორუფციასა და საჯარო სამსახურის ხარისხის შეფასებას.

გამოკითხვის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს მთავრობა და მოსახლეობა ინფორმაციით საჯარო სამსახურების მომსახურების ხარისხისა და ამ სამსახურების კეთილსინდისიერების შესახებ, ასევე მოსახლეობის მიერ ამ საჯარო ინსტიტუტებში კორუფციის აღქმასთან დაკავშირებით.

ორივე გამოკითხვისთვის განკუთვნილი კითხვარი (მიმართვის საფუძველზე განმცხადებელს შეუძლია გაეცნოს), რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობასთან ერთად წარმოდგენილი იქნება ევროპის საბჭოს მიერ. გამოკითხვა უნდა ჩატარდეს 2009 წლის თებერვალი/ მარტის თვეებში, რომელმაც უნდა მოიცვას (პირობითად) დაახლოებით 1000 საქართველოს მოქალაქე. ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი შერჩევის პროცედურების შესაბამისად ჩატარდება ტენდერი, რომელიც გამოავლენს სოციოლოგიური გამოკითხვის სააგენტოს.

დეტალური ინფორმაციისათვის და განცხადების სრული ტექსტის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ

GEPAC-ისპროექტის ოფისს
ლევან ხეცურიანი და/ან გივი ქუტიძე
სახელმწიფო კანცელარია (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7 0134)
ტელ/ფაქსი: +995 32 984006 ; ელ.პოსტა levan.khetsuriani@coe.int / givi.kutidze@coe.int

**სრული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 23 დეკემბერი (20:00)**

### განცხადება

2008 წლის 21 ოქტომბრის N234 გაზეთში "24 საათი" სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ ტექნიკური აღჭურვილობის სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებულები და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები: N208-14 შპს "ლაბ დისტრიბუცია"-სთან, N208-15 შპს "სიმბოლ სტუდია"-სთან და N208-16 შპს " სოფთმასტერ"-თან.

### განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ენგურჰესი", საფოსტო/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს D-5000 მმ ლითონის მილების მოწოდება - მონტაჟის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

1. შესყიდვის ობიექტი
- D-5000 მმ ლითონის მილების 750 გრძ/მეტრის მოწოდება - მონტაჟი.
2. მიწოდების ვადა
60 დღე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან;

3. მიწოდების ადგილი
შპს "ენგურჰესი", გალის რ-ნი დას. საბერიო.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 26 დეკემბრის 10 საათიდან, 2008 წლის 26 დეკემბრის 14 საათამდე. მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. **იურიდიული პირთათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღისა და ინკასოს არ არსებობის შესახებ.
ე) შესყიდვაში მონაწილე მსურველი იურიდიული პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

5.2. **ინდ. მეწარმე (ფიზიკური პირისათვის)**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს.
სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდესA შემდეგ რეკვიზიტებზე:
**მიმღები: შპს "ენგურჰესი".**
**სს "პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის**
**ზუგდიდის განყოფილება**
**ს/კოდი 251716371; ა/ა 301467126; ბ/კ 220101929**
7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის წარმოდგენის შემდეგ 2008 წლის 6 დეკემბერი 10 საათიდან 2008 წლის 25 დეკემბრის 16-საათამდე. მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისში.
8. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ იურიდიულ პირებს, რომელთაც საქართველოს მთავრობის N754 განკარგულებით მინიჭებული აქვთ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის უფლება.
9. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება სუბკონტრაქტორებსაც, თუ პრეტენდენტი მათთან ერთად ადგენს სატენდერო წინადადებას.
10. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული და არ იქნებიან დაშვებული შერჩევაში.
11. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი სათანადოდ უფლებამოსილი ან ხელმძღვანელი პირის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
12. ტენდერის საშუალებით გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ./ფაქსი 8 215 5 22 94.

სატენდერო კომისია.

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით**
**აუქციონის ჩატარების შესახებ**

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარტვილის რაიონი, სოფ. ნახუნაოს მიმდებარე ტერიტორია | „ნახუნაოს" მანგანუმის გამოვლინება | $C_2$ | 20 წელი | 249 000 მ$^3$ | **600 000** | 120 000 | **4 565,4** |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12ტელ. 98 20 13, 98 23 62 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 6 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 8 იანვარს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში. |
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ბე"-ს** შემოტანის ქვითარი | **„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000 |

| | |
|---|---|
| 1 ობიექტზე გამარჯვებული პირი ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ გაწეული მომსახურების საფასური | **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო":** ს/ს „პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საინ. კოდი: 204559691 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი გადაიხადოს 2009 წლის 10 თებერვლამდე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| ლოტი № | სამუშაოს მოკლე აღწერილობა | სამუშაოების დამთავრების ვადა |
|---|---|---|
| 1 | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ბაზის სარემონტო სამუშაოების ჩატარება | 20.02.09 |
| 2 | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური კულტურის და რეაბილიტაციის ცენტრის დაზიანებული კედლების და ჭერის სარემონტო სამუშაოების ჩატარება და გისოსების დაყენება | 30.01.09 |

სამუშაოს დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერის ჩატარების შედეგად თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2008 წლის 26 დეკემბრის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0177, საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №319.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ს/კ 211328703
„თი-ბი-სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850, ა/ა №609229.
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სარემონტო სამუშაო.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 26 დეკემბერს 16 საათამდე ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით:

**იურიდიული პირისათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა სასამართლოიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს:

***შენიშვნა:*** *ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სამუშაოს შესრულების პროცესში მონაწილე ქვეკონტრაქტორებს.*

*საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო ორი-ასლი).*

ტენდერის დროს გამოვლენილმა გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოების შესრულება ამ განცხადებაში განსაზღვრულ ვადებში.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო პირი: თინათინ ჭანტურიძე ტელ: 39-57-22.

***სატენდერო კომისია***

## შპს “ქართული ფილმი-უძრავი ქონება” აცხადებს აუქციონს უძრავი ქონების გასხვისების მიზნით

**აუქციონზე გამოტანილი იქნება:**

1. ქ. გორში, შინდისის გზატკეცილის №16-ში, მდებარე 620,7 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობისა (კინოგაქირავება) და მასზე დამაგრებული 7934,6 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საწყისი სარეალიზაციო ფასი 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, ბე საწყისი სარეალიზაციო ფასის 20%, ბიჯი - 5000 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მიერ მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო სარეალიზაციო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და ბე -ს შენატანი არ დაუბრუნდება.

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია:
ა) მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ გასაყიდ ფასს.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ სს ქართულ ფილმში );
ბ) სს ქართული ფილმის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ბე -ს და მონაწილის ბილეთის საფასურის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუტს.
განაცხადების მიღების ადგილია: ქ. თბილისი, ახმეტელის ქ. № 10ა, შპს ქართული ფილმი-უძრავი ქონება მე-2 სართული, მე-10 ოთახი. ტელ: 52-09-13; 43-30-30-136.
განაცხადის მიღების ვადაა 6 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით, 12 საათიდან 15 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).
აუქციონის ჩატარების თარიღი: 19 ნოემბერი, 15.30 სთ.
საბანკო რეკვიზიტები: **TBC** ბანკი, მარჯანიშვილის ფილიალი, ა/ა 360800206, კოდი 220101850, საიდენტიფიკაციო კოდი 201945262.
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.
ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს ქართულ ფილმში .
სააქციო საზოგადოება ქართული ფილმი

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი აცხადებს ერთეტიაპიან **ღია ტენდერს სამედიცინო ტექნიკისა და ინსტრუმენტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**
**დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები.**
**ლოტების დასახელებები:**
1. კარდიოგრაფი პორტატული 3 არხიანი;
2. ავტომატური პერიმეტრი მხედველობის ველის გამოკვლევისათვის;
3. ტონომეტრი (არაკონტაქტური) ავტომატური (ჰაერის ჭავლით) გაზომვით;
4. ბინოკულარული ლუპა (4,5 დპტრ განათებით);
5. პერფუზორი;
6. პორტატული რესპირატორი;
7. ტუბუს ვერსასკოპი ინსტრუმენეტების ნაკრებით;
8. ელექტრომიოგრაფი;
9. 24 საათიანი ე ე გ (ჰოლტერის მსგავსი) მონიტორინგის პროგრამით და ჩამწერით;
10. ამომქაჩი პორტატული ცვლადი წნევის;
11. ბიდისტილატორი.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2009 წლის 15 იანვრიდან 2009 წლის 28 თებერვლის** ჩათვლით, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, **2008 წლის 6 დეკემბრის 10.00 საათიდან 26 დეკემბრის 13.00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. №56, სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, სატენდერო კომისია. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო ეროვნული ბანკი
ანგ. **20012290**
ბანკის კოდი: **220101222**
სახაზინო კოდი: **300433174** გორი (სატენდერო მოსაკრებელი)
პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით **2008 წლის 26 დეკემბრის 10.00 სთ-დან 13.00 სთ-მდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. №56, სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, სატენდერო კომისია. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის, ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).
**სატენდერო წინადადებების გახსნა მოდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2008 წლის 26 დეკემბერს, 13.00 საათზე.**

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**
1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**ფიზიკურ პირთათვის:**
1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:**
1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.
თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.
დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
**ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. №56, სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, სატენდერო კომისია. თორნიკე არსენაშვილი, ტელ: 8(77).19.46.16; ხათუნა მენაბდიშვილი, ტელ: 8(9).47.42.25.

**სატენდერო კომისია**

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური
### მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**